# აჭარა

გამოცემის 102-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№83 (24.963) შაბათი, 6 - 8 აგვისტო, 2022 წ. 50 თეთრი


**გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით**



დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 8-13 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და შიდამთიან რაიონებში - 26-31, მაღალ მთაში - 18-23 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 28 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 756 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

## კრიალოსა N იუსი

არავითარი პარალელური ფორმატის ადგილი საქართველოში არ არის, - ამის შესახებ „ქართული ოცნების" თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ ბრიფინგზე განაცხადა. „ამ ქვეყანაში ერთი ხელისუფლებაა და სამუშაო პროცესიც არის ერთი. წარიმართება ოფიციალური სამუშაო პროცესი, რომელიც უკავშირდება 12 პუნქტის შესრულებას. შექმნილია შესაბამისი სამუშაო ჯგუფები საპარლამენტო ფორმატში და შესაბამისად, ჩვენ ამ ფორმატში გავაგრძელებთ მუშაობას", - აღნიშნა კობახიძემ და დასძინა: „მათ ჯერ „ტექნიკური მთავრობა" უნდოდათ, ვერ მიაღწიეს, ახლა „ტექნიკური პარლამენტის" ჩამოყალიბება სცადეს. ეს ვერ იქნება ჩვენი მხრიდან სერიოზულად აღქმული".

* * *

საქართველოს პარლამენტში ევროკავშირის რეკომენდაციებზე მუშაობა გრძელდება. გუშინ იურიდიულ საკითხთა კომიტეტში სასამართლოს რეფორმის შესახებ იმსჯელეს. სამუშაო ჯგუფი გაფართოებული ფორმატით შეიკრიბა. ასევე, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტში გაიმართა მოსმენა ევროკავშირის მიერ შემოთავაზებულ ერთ-ერთ პუნქტზე, რომელიც საქართველოს სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების პრაქტიკულად გამოყენების თაობაზე კანონპროექტის შემუშავებას შეეხება.

* * *

პარლამენტისა და პოლიტიკური პარტიებისადმი ჩემი მოწოდება იქნება, დაიცვან ის სტანდარტები, რაც პროცესის გამჭვირვალობას გულისხმობს, მაღალი რეპუტაციის კანდიდატის შერჩევას, კონსულტაციას შესაბამის მხარეებთან, - განაცხადა სახალხო დამცველმა ჟურნალისტებთან საუბრისას, რითაც ახალი სახალხო დამცველის შერჩევის საკითხს გამოეხმაურა. ნინო ლომჯარიას თქმით, ის გააკეთებს შეფასებებს რომელიმე კანდიდატის საწინააღმდეგოდ, ან სასარგებლოდ. ცნობისათვის, მოქმედ სახალხო დამცველს უფლებამოსილების ვადა მიმდინარე წლის დეკემბერში ეწურება.

* * *

„ლელოს" ლიდერი ლუსტრაციის კანონის სასწრაფოდ მიღებას ითხოვს. „ბოლო თვეებში ინტენსიურად ხდება ადამიანების ლუსტრაცია, უკრაინის ომის ფონზე ბევრს ჩამოეხსნა ნიღაბი, საზოგადოებამ ნათლად დაინახა რუსული პოლიტიკის მეხოტბეები და მხარდამჭერები. ლუსტრაცია მომხდარია. ახლა ამას კანონით გაფორმება სჭირდება. არც ერთი კოლაბორაციონისტი არ უნდა იყოს არჩეული, ან დანიშნული თანამდებობაზე, ლუსტრაციის კანონი რაც შეიძლება სწრაფად!" - აცხადებს მამუკა ხაზარაძე.

**მოამზადა ია შველიძემ**

## ბათუმის ინდუსტრიულ ზონაში 25 საინვესტიციო პროექტი მიმდინარეობს

*ბათუმის ინდუსტრიული ზონა აქტიურად ვითარდება როგორც ინფრასტრუქტურის მშენებლობის, ასევე, კერძო საინვესტიციო მიმართულებით. მიმდინარეობს საგზაო სამუშაოები, დაგეგმილია გაზიფიცირების და ინტერნეტიზაციის პროექტები. ასევე, იწყება ჭოროხის გზის რეაბილიტაცია მახოს ხიდი-გონიოს ხიდის მიმართულებით*

ინდუსტრიულ ზონაში მიმდინარეობს 25 საინვესტიციო პროექტი. იგეგმება 75 მილიონი ლარის კერძო ინვესტიციის განხორციელება, რაც 1 500 სამუშაო ადგილის შექმნას უზრუნველყოფს.

ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ სამრეწველო ზონის მიმდებარედ გზების სამშენებლო სამუშაოები დაათვალიერეს.

აღნიშნულ ტერიტორიაზე 10-მდე მთავარი და მეორეხარისხოვანი გზა შენდება.

არჩილ ჩიქოვანის განცხადებით, აღნიშნული პროექტის განხორციელება უფრო მიმზიდველს გახდის ინდუსტრიულ ზონას. მისივე თქმით, თოთხმეტივე ადმინისტრაციულ ერთეულს უნდა ჰქონდეს თანაბარი განვითარების საშუალება, რაც ადგილობრივ მოსახლეობას მისცემს ახალი პროექტებისა და ინიციატივების განხორციელების შესაძლებლობას.

ინდუსტრიულ ზონაში, 90 ჰა მიწის ფართობზე 25 საინვესტიციო პროექტი ხორციელდება. ამ ეტაპზე სანიაღვრე, წყალარინებისა და საკომუნიკაციო ჭები ეწყობა, ხოლო გზის ერთ მონაკვეთზე უკვე დაიწყო ასფალტის საფარის დაგება. ასევე, განხორციელდება გაზიფიცირება და ინტერნეტიზაცია. ინფრასტრუქტურული სამუშაოები 8,5 კმ სიგრძის მონაკვეთზე ხორციელდება.

სამუშაოების ფარგლებში დაგეგმილია გარე განათების სისტემის, ბორდიურების, რკინა-ბეტონის არხისა და მილების მონტაჟი.

სამუშაოები წლის ბოლოს დასრულდება.

პროექტის ღირებულება 13 მილიონ 588 ათას ლარს აღემატება.

**აჭარის მთავრობის პრესსამსახური**

## შეხვედრა – ნატოს სამეკავშირეო ოფისის ხელმძღვანელთან

*აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ ნატოს სამეკავშირეო ოფისის ხელმძღვანელთან საქართველოში ალექსანდერ ვინიკოვთან შეხვედრა გამართა, რომელსაც ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი და ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარე რამაზ ჯინჭარაძე ესწრებოდნენ*

გაცნობითი ხასიათის შეხვედრაზე მხარეებმა საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ორგანიზაციაში ინტეგრაციის პროცესებსა და ნატო-საქართველოს თანამშრომლობის პერსპექტივებზე ისაუბრეს. აღინიშნა, რომ ნატო-საქართველოს ურთიერთობები დინამიკურად ვითარდება და თანამშრომლობა ღრმავდება. თორნიკე რიჟვაძემ ალექსანდერ ვინიკოვს თანამდებობაზე დანიშვნა მიულოცა და აღნიშნა, რომ საქართველო ალიანსის ერთ-ერთი უახლოესი პარტნიორია, ნატოს გემების რეგულარული ვიზიტები საქართველოს შავი ზღვის პორტებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შავი ზღვის უსაფრთხოების განმტკიცებისთვის.

ალექსანდერ ვინიკოვმა კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მხარდაჭერა.

## ტაჯიკეთის რესპუბლიკის საპატიო საკონსულო გაიხსნა

ბათუმში, მელიქიშვილის ქუჩაზე, ტაჯიკეთის რესპუბლიკის საპატიო საკონსულო გაიხსნა.

ახალი დიპლომატიური წარმომადგენლობის გახსნის საზეიმო ღონისძიებას აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე, ტაჯიკეთის რესპუბლიკის საპატიო კონსული აჭარასა და სამეგრელო-ზემო სვანეთში თენგიზ ქოქოლაძე, ტაჯიკეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში და აზერბაიჯანში რუსტამ სოლი, აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, საკრებულოს და საქართველოს პარლამენტის წევრები, დიპლომატიური კორპუსების, დიასპორებისა და საზოგადოების წარმომადგენლები დაესწრნენ.

საქართველოსა და ტაჯიკეთის რესპუბლიკას შორის დიპლომატიური ურთიერთობები 1994 წლის 4 აგვისტოს დამყარდა.

**40 ოჯახს ბინები გადაეცა** 2

**თუ შეიძლება, ქართულად მესაუბრეთ!** 4



## გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

**დარეკეთ «აჭარის» რედაქციაში - ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია თქვენი მოსაზრება! - 27-48-93**

# „მომავალი წლიდან სამინისტრო გააფართოებს პროგრამებს და დაფინანსების მიღება უფრო მეტ მოქალაქეს შეეძლება“

ნაირა შუტკარაძე 27 48 93

***აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ნინო ნიჟარაძე, პირველ მოადგილე მარი ზანაქიძესთან ერთად იმ მოქალაქეებს შეხვდა, რომლებიც სამინისტროს პროგრამებით ძვირად ღირებული ბიოლოგიური მედიკამენტებით ფინანსდებიან***

„ბოლო ორი წელია სამინისტრო აფინანსებს რევმატოიდული ართრიტის მძიმე ფორმით დაავადებული პაციენტების ძვირად ღირებულ მედიკამენტურ მკურნალობას. მიმდინარე წელს დავიწყეთ ფსორიაზით, ფსორიაზული ართრიტითა და მაანკილოზირებელი სპონდილიტით დაავადებული პაციენტების, ასევე, ძვირად ღირებული მედიკამენტებით დაფინანსება. პროგრამის ბენეფიციარებთან გავეცანით მკურნალობის შედეგებს და მოვისმინეთ მათი მოსაზრებები. პაციენტები აღნიშნავენ, რომ მკურნალობის დაწყების შემდეგ მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა 90%-100%-ით გაუმჯობესდა, რაც ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მომავალი წლიდან სამინისტრო გააფართოებს პროგრამებს და დაფინანსების მიღება უფრო მეტ მოქალაქეს შეეძლება“, - აღნიშნა აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ნინო ნიჟარაძემ.

შეხვედრას ესწრებოდა რევმატოლოგი ნერიმან ცინცაძე, დერმატო-ვენეროლოგი ლელა ბერიძე, რევმატოლოგები ლია საგინაძე და ია კახიძე.

„პრეპარატები, რომელბსაც პაციენტები სამინისტროს დაფინანსებით ღებულობენ, არის პირველი რიგის და ყველაზე თანამედროვე, თითქმის არ გააჩნია გვერდითი მოვლენები. შედეგები გვაქვს ძალიან კარგი. ბევრი პაციენტის დაავადება უკვე გადასულია რემისიაში და თანდათან ვამცირებთ დანიშნული მედიკამენტების რაოდენობას. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ აჭარის ჯანდაცვის სამინისტროს დაფინანსებით პაციენტების მრავალწლიანი ჯანმრთელობის პრობლემები დაძლეულია“, - აღნიშნა ნერიმან ცინცაძემ.

სამინისტროს პროგრამებით რევმატოიდული ართრიტის, ფსორიაზის, ფსორიაზული ართრიტის და მაანკილოზირებელი სპონდილიტის ძვირად ღირებული ბიოლოგიური მედიკამენტებით მკურნალობა 50-მდე ბენეფიციარს უფინანსდება.

„ორი შვილის დედა ვარ, მკურნალობის დაწყებამდე საწოლს ვიყავი მიჯაჭვული, არ შემეძლო გადაადგილება, მქონდა გაუსაძლისი ტკივილი. რაც სპეციალური მედიკამენტის მიღება დავიწყე, შვება ვიგრძენი, შემიძლია ვთქვა, რომ უკვე 100%-ით გამოჯანმრთელებული ვარ“, - აღნიშნა ერთ-ერთი პროგრამის ბენეფიციარმა თინა სურმანიძემ.

პაციენტების უმრავლესობა აცხადებს, რომ წლების განმავლობაში მათ მკურნალობა საკუთარი ხარჯებით უხდებოდათ, ნაწილს აღნიშნული ფინანსური რესურსი არ გააჩნდა ან მიღებული მედიკამენტები არაეფექტური იყო, თანამედროვე ბიოლოგიური პრეპარატებით მკურნალობის დაწყების შემდეგ კი მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა.

# 40 ოჯახს ბინები გადაეცა

***გუშინ ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა, ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე რამაზ ჯინჭარაძემ, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ტიტე არაშიძემ, პარლამენტარმა რესან კონცელიძემ, საკრებულოს წევრებმა და ხელისუფლების წარმომადგენლებმა ხელმისაწვდომი საცხოვრისის პროგრამის ფარგლებში, 40 ოჯახს ბინები გადასცეს***

ბინები ჯავახიშვილის ქ. №78ა-ში აშენებულ ოთხ ხუთსართულიან კორპუსში, ოჯახებს ეტაპობრივად (ორ ეტაპად) გადაეცათ. საერთო ჯამში, ამ ეტაპზე ბინებით 80 ოჯახია დაკმაყოფილებული.

პროგრამაში მონაწილე ოჯახები ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით შეარჩია, ხოლო ბინები - ლოტოტრონის წესით განაწილდა.

საცხოვრებელი ფართების მფლობელებს ახალმოსახლეობა აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ტიტე არაშიძემ მიულოცა და აღნიშნა: „ბედნიერებაა, გქონდეს საკუთარი ჭერი, ადგილი, სადაც ყველას გველოდებიან საყვარელი ოჯახის წევრები. ის, რომ დღეს თქვენთან ერთად, ამ დიდი სიხარულის მოზიარეები ვართ, იმ გუნდის დამსახურებაა, რომელიც მსგავსი პროგრამების განხორციელებით, ზრუნავს ჩვენი რეგიონის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. დღეს, 40 ოჯახთან ერთად, ჩვენც ვზეიმობთ და გვჯერა, ახალი ბინები კიდევ უფრო დიდ სიხარულს მოუტანს თითოეულ თქვენგანს და ეს პროცესი სამომავლოდაც გაგრძელდება“.

აღსანიშნავია, რომ ხელმისაწვდომი საცხოვრისის პროგრამის ფარგლებში, ჯავახიშვილის ქუჩაზე კიდევ 4 კორპუსი შენდება, რომელიც 100 ოჯახისთვის არის გათვალისწინებული.

პროექტის განხორციელებისთვის დღემდე 13 მილიონამდე ლარი დაიხარჯა. პროგრამა გათვლილია ბათუმში რეგისტრირებულ იმ მოქალაქეებზე, რომელთაც არ გააჩნიათ საკუთარი ბინა და ბინის თვითღირებულების ქირის სახით დაფარვა შეუძლიათ.

ბათუმის მერის არჩილ ჩიქოვანის განცხადებით, 150-მდე ოჯახისთვის ორი სოციალური სახლი აშენდება. ე.წ. შანხაის დასახლებაში სოციალური სახლების მშენებლობის მიზნით, ტენდერი უკვე გამოცხადებულია. პროექტის ფარგლებში აშენდება ორი რვასართულიანი კორპუსი და საცხოვრებელი ფართებით 150-მდე ოჯახი დაკმაყოფილდება. პროექტი ითვალისწინებს ბინების სრულ კეთილმოწყობას. კორპუსები ადაპტირებული იქნება შშმ პირებისთვის. ტერიტორიაზე მოეწყობა სპორტული მოედანი, ტრენაჟორები და საბავშვო ატრაქციონი. სატენდერო თანხა 33 მილიონ 097 ათას 204 ლარს შეადგენს.

ანკა ჩხიკვაძე

# დარგის მნიშვნელობაზე ისაუბრეს

ნაირა შუტკარაძე 27 48 93

**აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი სტაჟიორებს შეხვდა, სადაც სტაჟიორებმა შუალედური ანგარიშის პრეზენტაცია წარადგინეს. ზაზა შავაძემ მათ დეტალურად გააცნო სამინისტროს მიერ სოფლის მეურნეობის სფეროს განვითარების კუთხით განხორციელებული და მიმდინარე პროექტები და ყურადღება დარგის მნიშვნელობაზე გაამახვილა.**

- ჩვენთვის მნიშვნელოვანია ახალ თაობასთან, მომავალ აგრონომებთან ურთიერთობა და ინფორმაციის გაცვლა. სწორედ თქვენ, მომავალმა პროფესიონალებმა კიდევ უფრო უნდა განავითაროთ სოფლის მეურნეობა. მე ყოველთვის მზად ვარ თქვენთან შესახვედრად. პირადად შეგიწყობთ ხელს, რომ პროფესიონალებად ჩამოყალიბდეთ და უშუალო კომუნიკაცია გქონდეთ დამსაქმებლებთან. მთავარია თქვენი მოტივაცია, - აღნიშნა ზაზა შავაძემ.

აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2022 წლის პროგრამის „აგროსექტორის მდგრადი განვითარების“ ქვეპროგრამის „საგანმანათლებლო და სამეცნიერო პრაქტიკის დანერგვის“ ფარგლებში, ანაზღაურებად სტაჟირებას გაივლის 9 თვის ვადით 20 სტუდენტ-კურსდამთავრებული, რომელიც დასაქმებულია აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროში და სამინისტროს სისტემის დაწესებულებებში.

შეხვედრას ასევე, მინისტრის მოადგილეები ირმა აფხაზვა, არჩილ ბერიძე და აგრარული განვითარების დეპარტამენტის თანამშრომლები ესწრებოდნენ.

# საზაფხულო ბანაკი – ქობულეთში

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

***აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროსა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომლობის ფარგლებში, 2021-2022 სასწავლო წლის განმავლობაში მოქმედებდა საკვირაო ონლაინსკოლა, რომელშიც ჩართული იყო 80 მოსწავლე***

საკვირაო სკოლის დასრულების შემდეგ, ქობულეთის მუნიციპალიტეტში საზაფხულო ბანაკი მოეწყო, რომელიც მრავალფეროვანი და საინტერესო აქტივობებით იყო დატვირთული, მათ შორისაა საბუნებისმეტყველო კლუბ „ჩხირკედელას“ მასტერკლასები, ექსკურსიები და სხვა საგანმანათლებლო, სპორტული და გასართობი ღონისძიებები.

პროექტის ფარგლებში მოსწავლეებმა პეტრას ციხე-ქალაქი და რეგიონის სხვა ისტორიული და ტურისტული ადგილები მოინახულეს. დაესწრნენ ფეხბურთის მატჩს და სპორტული აქტივობები თავადაც გამართეს.

ბანაკის დასკვნით ღონისძიებას აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მაია ხაჯიშვილი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე თამარ მახარაშვილი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი ბერიკა შუკაკიძე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე რუსლან აბაშიძე და აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრი ეკა ხოფერია ესწრებოდნენ.

# აგვისტოს ომგამოვლილი ძმები - ქვეყნის სამსახურში

**ოთარ ცინარიძე 599 85 21 14**

***2008** წლის რუსეთ-საქართველოს ომი რომ დაიწყო, ქვეყნისა და ერის ინტერესების დამცველი, სამხედრო ფიცის ერთგული, სამშობლოს მოსიყვარულე შუახეველი მეომრები იქ იყვნენ, სადაც ფრონტის ხაზი გადიოდა. არცერთ მათგანს ბრძოლის ველი არ მიუტოვებია. გმირულად დაიღუპნენ ბარათაულელი ამირან მამალაძე და ბუთურაულელი იაგო მიქელაძე...*

- ჩვენი მშობლიური სოფელი შორეული დარჩიძეებია. სულ მამისა და დედის მზრუნველობის ქვეშ ხომ არ ვიქნებოდით? ადგილზე სამუშაო არ გამოინახა, უცხოეთში გასვლა არ გვსურდა. მრავალი თანატოლის მსგავსად, ქართულ ჯარში სამსახური ვარჩიეთ, ეს უფრო პატრიოტულ საქმედ მივიჩნიეთ. მე 27 წლის ვიყავი, ჩემი ძმა ირაკლი - 18-ის. კონტრაქტის გაფორმების შემდეგ, 2006 წელს, ჯარისკაცის ფორმა მოვირგე. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას ქუთაისის მე-3 ბრიგადის 32-ე ბატალიონის ომის საცეცხლე მხარდაჭერის ოცეულის სერჟანტის თანამდებობაზე შევუდექი, - იგონებს ვახტანგ ბოლქვაძე.

ორი წელიც არ იყო გასული, ომი რომ დაიწყო. ვახტანგი და მისი თანამებრძოლები მტერს ცხინვალის სიახლოვეს სოფელ სარაბუკის ტერიტორიაზე, თლიაყანის მიმართულებით ეკვეთნენ. ვახტანგი პირად გმირობაზე ბევრს არ საუბრობს, მის მეხსიერებაში უფრო იკვეთება მეკავშირე მძღოლის მალხაზ გიგუაშვილის თავდადება.

- ჯერ იყო და, მშობლების ბედი მადარდებდა, არაფერი ვიცოდი კოდორში მყოფი ძმის შესახებაც. ომამდე ერთი კვირით ადრე ცხოვრების ბედი ქართლელ ნინო ბერიაშვილს დავუკავშირე. ოჯახი გაპარვით შევქმენით. ერთხელაც, როგორ - ვერ გეტყვით, სატელეფონო კავშირზე მამა სერგო ბოლქვაძე გამოვიდა. ჯერ გამამხნევა, დედაჩემიც დამალაპარაკა, შემდეგ ბრძოლაში წარმატება მისურვა. ეს 8 აგვისტოს დილით იყო, შემდეგ თავისებურად, ომახიანად მითხრა: ომი მსხვერპლის გარეშე არ იქნება. თქვენს მსგავსად, ათასობით ჭაბუკი ებრძვის მტერს. თქვენი თავდადება მშობლიური ქვეყნის გადარჩენაა. ერთს გეტყვი: ზურგიდან დაჭრილი რომ გნახო, გადარჩენისთვის არ ვიზრუნებო. ეს გამხნევებაც იყო და უდიდესი პასუხისმგებლობაც, - გვითხრა ვახტანგმა.

ომი რომ დამთავრდა, ვახტანგი ისევ ქუთაისს დაუბრუნდა - ბრიგადის მეთაურის, პოლკოვნიკ ვალერი კაპანაძის, ბატალიონის მეთაურის დავით შველიძის მადლობა დაიმსახურა. ეს იყო და ეს. იმჟამინდელ მთავარსარდლობას ჯარისკაცების, მათი საბრძოლო შემართების დაფასება აზრადაც არ მოსვლია... 2011 წლის ჩათვლით, ვახტანგი ისევ ქართულ ჯარში, სერჟანტის თანამდებობაზე დარჩა.

- ომისშემდგომ პერიოდში ქართულ ჯარში მიმდინარე პროცესებს რომ ვაკვირდებოდი, ვხედავდი, ერთ დროს კარგად დაწყებული საქმეები მივიწყებას როგორ ეძლეოდა. მარტო ერთეულების შემართება არ იყო საკმარისი, რომ ჯარისკაცის მომავალი საინტერესო და შინაარსიანი ყოფილიყო. ამ დროს ბევრი თავის გადარჩენაზე ფიქრობდა. 2011 წლიდან ქართული ჯარი, მრავალთა მსგავსად დავტოვე და იმათ რიგებში ჩავდექი, ვინც სააკაშვილის რეჟიმს დაუპირისპირდა, - თქვა ვახტანგმა, რომელიც რამდენიმე წელია საჯარო სამსახურშია. იგი შუახევის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელია შუბნის ადმინისტრაციულ ერთეულში. მისი და სხვა ხელმძღვანელების აქტიური საქმიანობის დასტურია ის მნიშვნელოვანი პროგრამები და პროექტები, რომლებიც დარჩიძეებში, ტომაშეთში, კობალთასა და შუბანში ხორციელდება. ნინო ბერიაშვილისა და მისი სიყვარულის ნაყოფია მეექვსეკლასელი ანდრია ბოლქვაძე. დალხინებული სტუდენტობა არც ირაკლის ჰქონია. 2015 წელს, მამა რომ გარდაეცვალა, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი იყო. ეკონომიკური მდგომარეობის გამო, სწავლის გაგრძელება ვეღარ შეძლო. საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის წმინდა აბუსერისძე ტბელის სახელმწიფო უნივერსიტეტში მობილობა გააკეთა და სასურველი სპეციალობით დიპლომიც აიღო.

ირაკლის მეხსიერებას 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი მძიმედ შემორჩა. მან და ბატალიონის სხვა ჯარისკაცებმა სიცოცხლის რისკის ფასად, კოდორიდან ქუთაისამდე ატარეს ბატალიონის ბეჭედი და დროშა და საჭირო ადგილი მიუჩინეს.

- ომი რომ დაიწყო, ბათუმის მე-5 ბრიგადის 51-ე ბატალიონის სერჟანტი ვიყავი. რუსი ოკუპანტების ჭურვები და რაკეტები კოდორის ხეობაში მყოფთ დაგვაყარეს. რამდენიმე მებრძოლი დაჭრეს. თანარაიონელი იაგო მიქელაძის დაჭრის ამბავი ჭუბერის უღელტეხილის გადმოკვეთისას გავიგეთ. ბიჭები მის გადასარჩენად ვლოცულობდით. ხაიშში რომ ჩამოვაღწიეთ, მშიერ-მწყურვალნი, დაღლილ-დაქანცულები, მიწაზე წამოვგორდით. უკვე თავი სამშვიდობოს გვეგონა. თვალების დახუჭვაც ვერ მოვასწარით, რომ ხეობაში მტრის შვეულმფრენი შემოიჭრა. ენით აუწერელია ის განცდა, რომელიც თითოეულ ჩვენგანს იმ წუთებში დაგვეუფლა... დღესაც ვერ გეტყვით, მტერმა რატომ დაგვინდო. იმ დღიდან, როცა ბატალიონის დროშა და ბეჭედი უვნებელი ჩავაბარეთ, რიგ თანამებრძოლთან ჩემი გზა გაიყარა. ბიჭები იმთავითვე ხედავდნენ, რომ სარდლობამ ბედის ანაბარა მიატოვა. ჩვენ სიცოცხლის გადარჩენისთვის ვიბრძოდით, ისინი თბილისში ზეიმობდნენ. 14 წელია თავს კითხვას ვუსვამ: ვის და რაში სჭირდებოდა საქართველოს ტერიტორიების 20 პროცენტის დაკარგვის საზეიმოდ აღნიშვნა? ჩემთვის დაკარგული კოდორის ხეობა, ლიახვის ხეობის სოფლები, ფეხით რომ მქონდა შემოვლილი, მოუნელებელი ტკივილი, მოუშუშებელი ჭრილობაა, - გვითხრა ირაკლი ბოლქვაძემ.

ირაკლიმ ხიჭაურის სასწავლო უნივერსიტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, კონკურსები გაიარა, სერტიფიკატები მოიპოვა და ახლა შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული განყოფილების წამყვანი სპეციალისტია.

შუახეველთა რძალი ნინო ბერიაშვილი სამუშაოდ უცხოეთში წავიდა. ახლა ოჯახს ომგამოვლილი ძმების დედა ამაგრებს.

- 2008 წლის აგვისტოს ომმა ჩემი ვაჟების ტოლი ჭაბუკების სიცოცხლე შეიწირა. ვიზიარებ იმ დედების ტკივილს, რომლებიც სამშობლოსთვის თავდადებული შვილების საფლავებს ეფერებიან, - გვითხრა ეთერ ბოლქვაძემ.

## უკრაინა

უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის განცხადებით, 24 თებერვლიდან 5 აგვისტომდე პერიოდში, უკრაინულმა ძალებმა 41 650 რუსი ჯარისკაცი მოკლეს. მათივე ცნობით, უკრაინელმა დამცველებმა გაანადგურეს მტრის 1 792 ტანკი, 4 032 ჯავშანტექნიკა, 950 საარტილერიო სისტემა, 260 ზალპური ცეცხლის სარაკეტო სისტემა, 123 საჰაერო თავდაცვის სისტემა, 223 თვითმფრინავი, 191 ვერტმფრენი, 742 ოპერატიულ-ტაქტიკური უპილოტო საფრენი აპარატი, 182 ფრთოსანი რაკეტა, 15 გემი/ნავი, 2 964 ერთეული სატრანსპორტო საშუალება და საწვავის ავზი, ასევე 83 ერთეული სპეცტექნიკა.

* * *

რუსი სამხედრო ძალების მიერ დროებით ოკუპირებული მარიუპოლის საავადმყოფოებში მედიკამენტებისა და სამედიცინო პერსონალის უკმარისობის გამო, ყოველი მეოთხე პაციენტი იღუპება, - ამის შესახებ მარიუპოლის მერის მრჩეველმა პეტრ ანდრიუშენკომ განაცხადა. „საავადმყოფოებში ფაქტობრივად, ყოველი მეოთხე პაციენტი კვდება. მედიკამენტები საკმარისი არ არის. პაციენტებს ცინიკურად სთავაზობენ, მედიკამენტები აფთიაქებში შეიძინონ, რომლებიც ე. წ. დონეცკის სახალხო რესპუბლიკის დე ფაქტო ლიდერთან, დენის პუშილინთან დაკავშირებულ ფირმებს ეკუთვნით“, - განაცხადა ანდრიუშენკომ. მისივე თქმით, რუსი სამხედროებისთვის მეტ-ნაკლებად ნორმალური პირობების შესაქმნელად, ადამიანებს დერეფნებში ათავსებენ, სამედიცინო პერსონალის ნაკლებობის გამო კი ისინი, ფაქტობრივად, უპატრონოდ არიან მიტოვებულები და აქედან გამომდინარეობს მსხვერპლის მაღალი მაჩვენებელი. ამასთან, ანდრიუშენკომ განმარტა, რომ ინსულინდამოკიდებული ადამიანები მარიუპოლში ყველაზე მძიმე ვითარებაში არიან.

* * *

93-ე ცალკეული მექანიზებული ბრიგადის მებრძოლებმა რუსი ოკუპანტებისგან ხარკოვის ოლქში იზიუმის სიახლოვეს მდებარე სოფელი დუბროვნოე გაათავისუფლეს. ამის შესახებ ინფორმაციას ბრიგადის პრესსამსახური სოციალურ ქსელში ავრცელებს, სადაც ასევე განთავსებულია ვიდეო, თუ როგორ გამოიყურება სოფელი ოკუპანტებისგან გათავისუფლების შემდეგ. უკრაინელი მებრძოლების ინფორმაციით, როდესაც რუსი ოკუპანტები სოფლიდან გარბოდნენ, საკუთარი ტექნიკა დატოვეს. „ბრიგადამ მტერი სოფელ დუბროვნოეს მიღმა გაყარა და ფრონტის ხაზი გადასწია. მომარაგებას მოკლებული ოკუპანტები გარბოდნენ და ტექნიკას ტოვებდნენ, თუმცა წასვლის წინ საგულდაგულოდ დანაღმეს სოფელი ქვეითსაწინააღმდეგო და ტანკსაწინააღმდეგო ნაღმებით“, - ნათქვამია განცხადებაში.

* * *

ოდესისა და ჩორნომორსკის პორტებიდან უკრაინული მარცვლეულით დატვირთული სამი გემი გავიდა. ამის შესახებ ინფორმაციას უკრაინის ინფრასტრუქტურის მინისტრი ალექსანდრ კუბრაკოვი სოციალურ ქსელში ავრცელებს. „დღეს პორტებიდან გავიდა უკრაინული მარცვლეულით დატვირთული გემების პირველი ქარავანი. სამ გემზე, Navi star-ზე, Rojen -სა და Polarnet-ზე 57 ათასი ტონა სიმინდია, რომელიც თურქეთის, დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის მიმართულებით მიდის“, - ნათქვამია განცხადებაში. მინისტრმა იმედი გამოთქვა, რომ გაეროსა და თურქეთის უსაფრთხოების გარანტიები იმუშავებს და უკრაინული პორტებიდან სურსათის ექსპორტს სტაბილური და ბაზრის ყველა მონაწილისთვის პროგნოზირებადი ხასიათი ექნება, „ამისთვის ვგეგმავთ, უზრუნველვყოთ პორტების შესაძლებლობა, თვეში 100 ხომალდი დაამუშაონ. მიუხედავად იმისა, რომ „მარცვლეულის დერეფანი“ ამუშავდა ექსპორტის მიმართულებით, ჩვენი მიზანი პორტების სრულმასშტაბიანი მუშაობაა ორივე მიმართულებით. ჩვენ ვიღებთ ხომალდების მფლობელების განცხადებს, რომლებიც მზად არიან შემოვიდნენ ჩვენს პორტებში. რაც უფრო სწრაფად შევძლებთ გასული წლის 20 მილიონი ტონა მოსავლის ექსპორტზე გატანას და მივუბრუნდებით ახალს, მით უფრო სწრაფად გაუმჯობესდება სასურსათო ვითარება მსოფლიოში“, - განაცხადა მინისტრმა.

* * *

უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის განცხადებით, რუსეთის მიერ უკრაინის სამხრეთში სარეზერვო ჯარების განთავსება აჩვენებს, რომ ოფიციალური მოსკოვი მოლაპარაკებებით დაინტერესებული არ არის. მისივე თქმით, რუსეთი „ტერორისტებს შორის ნომერ პირველია“ და დასძინა, რომ მოსკოვი ტერორისტულ სახელმწიფოდ აღიარების გარდაუვალობას აცნობიერებს. უკრაინის პირველმა პირმა გაეროს მოუწოდა, რუსეთი ტერორისტულ სახელმწიფოდ ცნოს და გარიცხოს ის ორგანიზაციიდან მას შემდეგ, რაც ივნისის ბოლოს რუსეთმა საჰაერო იერიში მიიტანა სავაჭრო ცენტრზე. ამასთან, ზელენსკიმ რუსეთის მცდელობას, „აზოვის პოლკი“ ტერორისტულ ორგანიზაციად გამოაცხადოს, აბსურდული უწოდა.

* * *

დონეცკის რეგიონული სამხედრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელ პავლო კირილენკოს ინფორმაციით, დონეცკის რეგიონში, ქალაქ ტორეცკში რუსულმა ძალებმა ავტობუსის გაჩერება დაბომბეს. შედეგად 8 ადამიანი დაიღუპა. ამასთან, რუსულმა ძალებმა დააზიანეს ტაძარი, მომხდარის შედეგად სასულიერო პირი დაშავდა, ასევე დაზიანდა საცხოვრებელი კორპუსებიც. „რუსი ოკუპანტები მშვიდობიან მოსახლეობას ბომბავენ. ჩვენი ხალხი ყოველდღე იღუპება. მოვუწოდებ ყველას, ვინც დონეცკის რეგიონში რჩება, რომ ისინი საკუთარ თავს სასიკვდილო საფრთხის წინაშე აყენებენ! მოვუწოდებ რეგიონის ყველა მცხოვრებს: არ გახდეთ რუსეთის სამიზნე! მოახდინეთ ევაკუაცია ახლავე!“, - დასძინა კირილენკომ.

* * *

სრულმასშტაბიანი ომის დაწყებიდან დღემდე რუსეთის ფედერაციის ჯარებმა უკრაინაში 26 465 დანაშაულებრივი აგრესია და ომის დანაშაული ჩაიდინეს. ამის შესახებ ინფორმაციას უკრაინის გენერალური პროკურატურა ავრცელებს. 25 473 დანაშაული ომის კანონებისა და წეს-ჩვეულებების დარღვევას ეხება, 73 - აგრესიული ომის დაგეგმვას, მომზადებას ან წარმოებას, 27 - ომის პროპაგანდას, 892 კი, სხვა დანაშაულებს. ასევე დაფიქსირდა 12482 დანაშაული ეროვნული უსაფრთხოების წინააღმდეგ. აქედან 8630 უკრაინის ტერიტორიული მთლიანობისა და ხელშეუხებლობის ხელყოფაა, 1512 - ღალატი, 1739 - კოლაბორაციონისტული საქმიანობა, 106 - აგრესორი სახელმწიფოს დახმარება, 64 - დივერსია, 431 - სხვა.

**მოამზადა**
**ნაირა შუტკარაძემ**

## უცხოეთი

**რუსეთი არ უქმნის საფრთხეს მსოფლიო წესრიგს, ნატოსგან განსხვავებით, რომელმაც დაგეგმა და განახორციელა 2014 წელს ხელისუფლების ცვლა უკრაინაში და მოახდინა მოსკოვის პროვოცირება საკუთარი საზღვრების რუსეთის საზღვრებთან მოახლოებით, - ამის შესახებ რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივანმა დიმიტრი პესკოვმა განაცხადა, რითაც გამოეხმაურა იენს სტოლტენბერგის შეფასებებს კონტინენტზე არსებულ საფრთხეებთან დაკავშირებით რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრიდან გამომდინარე. ცნობისთვის: ნატოს გენერალური მდივნის იენს სტოლტენბერგის განცხადებით, უკრაინის ომი ყველაზე საშიში მომენტია ევროპისთვის მეორე მსოფლიო ომის შემდეგ და რუსეთს გამარჯვების უფლება არ უნდა მისცენ. მისივე თქმით, თუ რუსეთის პრეზიდენტი ნატოს გაუკეთებს იგივეს, რაც საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინას გაუკეთა, ამ შემთხვევაში ამ პროცესებში სრულიად ნატო იქნება ჩართული.**

* * *

**ევროპული ქვეყნების ელჩები, ევროკავშირისა და G7-ის მიერ ჩინეთის წვრთნების გაკრიტიკების საპასუხოდ, საყვედურის გამოსაცხადებლად ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში დაიბარეს. უწყებამ G7-ისა და ევროკავშირის კრიტიკას ჩინეთის საშინაო საქმეებში უსაფუძვლო ჩარევა უწოდა. ამასთან, ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში არ დაუკონკრეტებიათ პროტესტის გამოსახატად ევროპის რომელი ქვეყნების ელჩები დაიბარეს. ცნობისთვის: ტაივანში აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის სპიკერ ნენსი პელოსის ვიზიტის შემდეგ, ჩინეთმა სამხედრო წვრთნები დაიწყო. როგორც იაპონიის პრემიერ-მინისტრმა წვრთნების შეფასებისას აღნიშნა, ჩინეთის სამხედრო წვრთნები ტაივანის სიახლოვეს სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს, რომელიც საფრთხეს უქმნის რეგიონულ მშვიდობასა და უსაფრთხოებას.**

* * *

**რუსეთისა და თურქეთის პრეზიდენტებმა სოჭში გამართული მოლაპარაკებების შემდეგ ერთობლივი პრესკონფერენცია არ გამართეს. კრემლის პრესმდივან დიმიტრი პესკოვის განმარტებით, აღნიშნულის მიზეზი თურქული მხარის განრიგი გახდა. „ჩვენ, ფაქტობრივად, პრესკონფერენციისთვის მზად ვიყავით, მაგრამ თურქულ მხარეს ამისთვის დრო არ აქვს“, - განუცხადა პესკოვმა ჟურნალისტებს. არსებული ინფორმაციით, ვლადიმერ პუტინისა და რეჯეფ თაიფ ერდოღანის შეხვედრის დღის წესრიგში იყო უკრაინულ მარცვლეულთან დაკავშირებით ახლად დადებული შეთანხმება, ისევე, როგორც სირიაში ქურთების ძალების წინააღმდეგ თურქეთის ახალი შეტევა, რომელსაც რუსეთის მხარდაჭერა აქვს. თურქეთისა და რუსეთის პრეზიდენტები ერთ თვეში უკვე მეორედ შეხვდნენ ერთმანეთს.**

* * *

**ყარაბაღში - დაპირისპირების ზონაში ამჟამად საბრძოლო მოქმედებები არ მიმდინარეობს, თუმცა ვითარება უკიდურესად დაძაბულია, - განაცხადა სომხეთის პრემიერ-მინისტრმა ნიკოლ ფაშინიანმა. მისივე თქმით, აუცილებელია მუშაობა დაძაბულობის შემცირების მიმართულებით. ცნობისთვის: 3 აგვისტოს მთიან ყარაბაღში სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის სამხედრო დაპირისპირება განახლდა, რასაც მსხვერპლი მოჰყვა.**

**მოამზადა**
**ია შველიძემ**

# „ყველაფერი შესაძლებელია, ყველაფერი მიიღწევა, ყველაფერი ჩვენს ხელშია“

ნაირა შუტკარაძე 27 48 93

*- ამბობენ, რომ თუ ადამიანი რაიმეს გულით მოინდომებს, აუცილებლად აიხდენსო. მეც მჯერა ამის და ჩემ გარშემო ადამიანები კიდევ უფრო მაჯერებენ, რომ ცხოვრებაში ყველაფერია შესაძლებელი, მთავარია, მოინდომო, - ამბობს ჩემი რესპონდენტი და იმ ცხოვრებაზე მიყვება, რომელიც მისივე აღმოჩენილმა ახალმა სამყარომ მთლიანად შეუცვალა და გაულამაზა. ახლა თავადაც სხვების გზამკვლევად იქცა.*

***ეკა არაგული*** *გერმანიაში ცხოვრობს და დღეს ერთ-ერთ მნიშვნელოვან პროექტს ხელმძღვანელობს. ამ პროექტით და მისი უშუალო დამსახურებით, ბევრმა ქალმა იმაზე უკეთ მოიწყო ცხოვრება, ვიდრე ჰქონდა... ეკას სამოტივაციო გვერდს და ქალებისთვის საჭირო ინფორმაციას ინტერვიუში გაეცნობით.*

**- გვიამბეთ თქვენ შესახებ...**

- ბევრი არ მინდა ვისაუბრო საკუთარ თავზე, არაა მოსაწონი, ვიტყვი იმას, რომ ვარ ქალი, რომელიც სულ ახლის ძიებაშია. რაც უფრო მეტი მიზანი, ინტერესი და შესაძლებლობა ჩნდება შიგნიდან, უფრო მეტი რამ იცვლება ჩემს სამყაროში გარედან. ეს შეგრძნება საინტერესოცაა და აღმაფრთოვანებელიც, თან იმდენად, რომ გენანება დაღამება, დაძინება. გინდა, მალე გათენდეს, მალე ადგე და ისევ ამ საოცარ პროცესში ჩაერთო - იმოქმედო, წაიკითხო, საკუთარ თავში კიდევ უფრო მეტი რამ აღმოაჩინო. რაც დრო გადის, კიდევ უფრო ვრწმუნდები ერთ რამეში - რამდენადაც მისცემ შენს თავს განვითარების უფლებასა და საშუალებას, მით უფრო მეტი გზა გაგეხსნება.

**- ბათუმიდან გერმანიაში... როგორ განვითარდა მოვლენები?**

- გერმანიაში წამოვედი როგორც ოპერი. მერე აქ, უნივერსიტეტში ჩავაბარე, დავამთავრე ბაკალავრიატი და მაგისტრატურა სამედიცინო სფეროს მიმართულებით („Master of Public Health“) და ჩემი პროფესიით დავიწყე მუშაობა. ცვლილებები მალევე დაიწყო. მყავს ძალიან ლამაზი ოჯახი, შესანიშნავი მეუღლე, რომელიც გერმანელია და ჩვენი ვაჟიშვილი. არ ვიქნები მართალი, თუ ვიტყვი, რომ აქამდე მოსასვლელი გზა მარტივი იყო, მაგრამ მიღებულმა ცოდნამ შესაძლებლობები გამიხსნა. დროთა განმავლობაში სტრესიც სადღაც გაქრა და საკუთარი თავის წარმოჩენა დავიწყე. ასე დაიწყო ჩემი კარიერული აღმასვლა და ფინანსური გაძლიერება. დღეს კი იგივე სამსახურში ერთ-ერთ მთავარ პოსტზე ვარ.

**- სამოტივაციო გვერდიც გაქვთ - Women Empowerment-ქალები წარმატების გზაზე და ქართველ ქალებსაც დიდ სტიმულს აძლევთ.**

- დიახ, ამ გვერდის მიზანი სწორედ ეს არის. ჩემი სურვილია, რაც შეიძლება მეტი ქალი იყოს უფრო გაბედული, წარმატებული, სჯეროდეს საკუთარი თავის, შესაძლებლობების. სჯეროდეს, რომ რასაც მოისურვებს, ყველაფერი გამოუვა, მიზანს მიაღწევს. მინდა კიდევ უფრო მეტად გაიხსნან და მეტის უფლება მისცენ საკუთარ თავს. ასევე, ძალიან მინდა, მზარდი შემოსავალი ჰქონდეთ და ფულთან სწორი დამოკიდებულება ჩამოუყალიბდეთ. ჩემი აზრით, ფინანსები უფრო ქალების ხელში უნდა იყოს თავმოყრილი, რადგან მჯერა, მათ უფრო ეკონომიურად შეუძლიათ ფულის განაწილება. აი, ამას ემსახურება ჩემი გვერდი - „ქალები წარმატების გზაზე“. აქ გამოქვეყნებული პოსტებით, მესიჯებითა თუ ვიდეოებით მინდა ქალებმა ცხოვრება გაილამაზონ, დედებმა კარგი გაკვეთილები მიიღონ. შვილისთვის დედა მაგალითის მიმცემი უნდა იყოს. რაც უფრო დაჩაგრულია დედა, მით უფრო დაჩაგრულია შვილი. არცერთ შვილს არ უნდა დაჩაგრული დედა. მიყვარს კარლ გუსტავ იუნგის სიტყვები - ბავშვებისთვის ყველაზე მძიმე ტვირთი არის მშობლების შეუმდგარი ცხოვრება. ზოგჯერ ქალები თავიანთ არარეალიზებულობას შვილებს აბრალებენ, შვილი რომ არ მყავდეს, ამას გავაკეთებდი და ასე არ ვიქნებოდიო! იმ დედას, ვინც ასე ფიქრობს, მინდა ვუთხრა - შენი უუნარობა შვილებს არ ჩამოჭიდო. შენს შვილებს ის ტვირთი არ გადასცე და იმ შეგნებით არ გაზარდო - თქვენ რომ არ ყოფილიყავით, მე ვიქნებოდი შემდგარი. სინამდვილეში ეს ასე არ არის, შენ ის ხარ, ვინც იქნებოდი მაშინაც კი, თუ შვილები არ გეყოლებოდა. შვილებს ნუ ვაქცევთ ჩვენი უმოქმედობის მიზეზად!

ყველამ უნდა გავიაზროთ ის, რომ ყველაფერი შესაძლებელია, ყველაფერი მიიღწევა, ყველაფერი ჩვენს ხელშია. მალე ჩემს გვერდზე იქნება სიახლეები ქალებისთვის - პოდკასტები უნდა ჩავწერო, სადაც მნიშვნელოვან თემებზე უფრო ვრცლად ვისაუბრებ. ახლო მომავალში ონლაინტრენინგებსაც ვგეგმავ ქალებისთვის, სადაც ქალურ ენერგიებს ჩავუღრმავდებით, იქნება ცოტა ქარიზმა და ცოტა სტრატეგია.

**- გერმანიაში ცხოვრების შემდეგ, თქვენი გადმოსახედიდან, ქართველებს უკეთესი ცხოვრებისთვის რა გჭირდება ყველაზე მეტად?**

- ისეთივე სიყოჩაღე, როგორიც გერმანელებს აქვთ. აქ ბავშვი 14 წლიდან გაზეთებს დაატარებს, რომ შემოსავალი ჰქონდეს. ასევე, ბავშვობიდან აჩვევენ და ასწავლიან ფულის მართვას, ამიტომ კარგად იციან, როგორ გადაანაწილონ იგი. აქ მუშაობას არ უკადრისობენ. სტუდენტობის პერიოდში ჩემ ირგვლივ ყველა მუშაობდა, რომ თავისი შემოსავალი ჰქონოდა და მშობლებზე არ ყოფილიყო დამოკიდებული. ეს ჩვენ, ქართველებს არ გვაქვს-მეთქი, ვერ ვიტყვი, მაგრამ საჭიროა იმაზე მეტი გაკეთდეს, ვიდრე კეთდება ამ მხრივ. ქართველები ნიჭიერები ვართ, მაგრამ გვიყვარს სხვების ცხოვრებით ცხოვრება და ამაში დროის დაკარგვა. ეს სოციალურ ქსელებშიც კარგად ჩანს. ქალებს აკლიათ თვითრწმენა. შინაგან თავისუფლებას ვუსურვებდი ყველა ქალს და საკუთარ თავში იმის აღმოჩენას, რასაც გარეთ ეძებს. როცა თვითკმარი ხარ, უფრო მეტად თავდაჯერებული ხარ, უფრო გაქვს მაღალი თვითშეფასება და არ გჭირდება გარეგნულად ყველაფრის შეცვლა, რომ ამით მოაწონო ვინმეს თავი.

**- რა გაძლევთ სტიმულს, რომ არ დანებდეთ?**

- საბედნიეროდ, ის ადამიანი ვარ, ვინც სტიმულს დეტალებშიც ხედავს, პირველ რიგში, ჩემი ოჯახი, რომელიც ჩვენი სახეა და მას მხოლოდ ჩვენ ვქმნით ისეთს, როგორიც გვინდა. მე ეს შევძელი და ამით ვარ ამაყი და ძლიერი, რომ არ დავნებდე და გავაგრძელო. სტიმულია ის, როცა ვისმენ, რომ ჩემმა რჩევამ, სამოტივაციო გვერდმა თუ სხვა ქმედებამ შეცვალა ადამიანის ცხოვრება უკეთესობისკენ. უკეთესობა კი ყოველთვის არის საწყისი იმისთვის, რომ ძალიან კარგი შედეგი მიიღო.

# „ახსოვდეთ, რომ იტალიის ნებისმიერ ორგანოში დაიცავენ მათ ჯანმრთელობას და უსაფრთხოებას“

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

***ინგა სიხარულიძეს ჩვენი მკითხველი კარგად იცნობს, ის იტალიაში შრომითი დეპარტამენტის ხელმძღვანელია, უანგაროდ ეხმარება ქართველ ემიგრანტებს, ასწავლის მათ სწორ გზას და უწესრიგებს იმ საბუთებს, რომელიც მნიშვნელოვანია მათი უსაფრთხო და რაც მთავარია, ლეგალური მუშაობისთვის***

- ყველაზე რთული სამშობლოსა და ოჯახის მონატრეაა. ამას ერთვის ენის ბარიერი და კონტრაქტის სწორად გაფორმება. ზოგმა არ იცის თავისი უფლებები და ამიტომ ვაცნობთ მას ძირფესვიანად, ხელშეკრულებას მე და ჩემი გუნდი ვაფორმებინებთ. ამისთვის კი მხოლოდ მომართვაა საჭირო. არის შემთხვევები, როცა ემიგრანტებს ამუშავებენ 24 საათის განმავლობაში, არ იციან, რა ევალებათ, რა არის მათი ძირითადი საქმე და რისი გაკეთება არ ეკუთვნით. ამას ჩვენ ვარკვევთ დამსაქმებელთან.

**- ქალბატონო ინგა, რა უნდა იცოდეს იტალიაში ჩამოსულმა ქართველმა?**

- ყველაზე მნიშვნელოვანია, იცოდნენ, რომ ჩვენ მათ გვერდით ვართ. დაგვიკავშირდნენ და შეძლებისდაგვარად მოვუგვარებთ ყველა პრობლემას. არაფრის უნდა შეეშინდეთ. ზოგს სტრესში აცხოვრებს დამსაქმებელი ან ქართველი დამხვედრი და ძალადობს მასზე ფსიქოლოგიურად. მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა საბუთი, მათ შეუძლიათ შვილები ატარონ იტალიურ სკოლებში. ახსოვდეთ, რომ იტალიის ნებისმიერ ორგანოში დაიცავენ მათ ჯანმრთელობას და უსაფრთხოებას. ნუ შეეშინდებათ, საჭიროების შემთხვევაში აუცილებლად მიმართონ მათ, ამისთვის არავინ დაარეპორტებს. აქვე ვიტყვი იმასაც, რომ ფაქტობრივად, იტალიას დეპორტი არ აქვს, გამონაკლისი შემთხვევაა, როცა დააკავებენ მძიმე მუხლით. თითოეულს, ვინც სამუშაო ადგილად იტალია აირჩია, ვთხოვ, არ მიიტანოს გულთან სამსახურის პრობლემა. მიუდგნენ ყველაფერს, როგორც ჩვეულებრივ ამბავს, იცოდნენ მათი სამუშაო დრო და იცხოვრონ თავისუფლად ისეთ თავისუფალ ქვეყანაში, როგორიცაა იტალია.

**- რამდენად ახერხებთ ყველა ემიგრანტთან კომუნიკაციას?**

- ყველა ემიგრანტისთვის მისაწვდომი და ღია ვარ. მაქსიმალურად ვცდილობ, თითოეულ მათგანს აღმოვუჩინო დახმარება. ამას, ალბათ, თავადვე დაგიდასტურებენ. ვპასუხობ ყველას, ვინც მიკავშირდება. გამორიცხულია, უპასუხოდ დავტოვო შეტყობინება. მინდა იგრძნონ, რომ აქ ვარ და მათ ყველა შესაძლო საშუალებით დავიცავ.

**- თუ ფლობთ სტატისტიკას, რამდენად ხშირად ირჩევენ ქართველები ემიგრაციისთვის იტალიას?**

- სტატისტიკა ძალიან მაღალია მანდილოსნების შემთხვევაში, რომლებიც, ძირითადად, ოჯახებში სამუშაოდ ჩამოდიან. სხვა შემთხვევაში, როცა საქმე ოჯახით გადასვლას და უცხო ქვეყანაში დარჩენას ეხება, ძირითადად, სხვა ადგილებს ირჩევენ, რაც ვფიქრობ, სწორი გადაწყვეტილებაა. ზოგადად, იტალიას საემიგრაციო პორტალი კარგა ხანია გახსნილი აქვს, თუმცა იყო ჩავარდნაც, ანუ პერიოდი, როცა ემიგრანტების მიღება წელიწადნახევრით შეწყვიტა.

# თუ შეიძლება, ქართულად მესაუბრეთ!

ნანა აბულაძე 577 20 35 90

თუ შეიძლება, ქართულად დაბეჭდილი მენიუ მოგვიტანეთ, - ვთხოვთ მე და ჩემი მეგობარი მიმტან გოგონას, რომელიც უემოციო სახით გვიყურებს. ვხვდებით, რაშიცაა საქმე, თუმცა შეგნებულად არ ვესაუბრებით არც რუსულად და არც ინგლისურად. მეოთხე კაფე გამოვიცვალეთ იმ იმედით, რომ ქართულად მოსაუბრეს შევუკვეთავთ იმას, რაც გვსურს, თუმცა ამაოდ - ამჯერადაც გაწბილებულები ვუყურებთ ერთმანეთს და შემდეგ საათს, რომელიც გვიჩვენებს, რომ სამსახურებიდან შესვენებაზე გამოსულებს დრო აღარ გვრჩება სხვა კაფე-ბარში გადასასვლელად. „მენიუ გიდევთ მაგიდაზე, გისმენთ“, - ჯიქურ გვიმეორებს სლავური წარმოშობის რუსულად მოსაუბრე, სავარაუდოდ, რუსი გოგო. ჩვენც ვუმეორებთ, რომ ქართული მენიუ გვესაჭიროება. აღნიშნული დიალოგი კიდევ ერთმა მიმტანმა მოისმინა, რომელსაც აშკარად ესმოდა ქართული, წავიდა და თაროზე დალაგებულ ფურცლებში, დაახლოებით ხუთი წუთის ძებნის შემდეგ, ქართულად დაბეჭდილი მენიუ მოგვირბენინა. როგორც აღვნიშნე, დროის სიმცირის გამო, მხოლოდ თურქული ყავა და წყალი შევუკვეთეთ, განწყობაგაფუჭებულებმა მალევე დავტოვეთ იქაურობა. ვერაფერს იტყვი, ყავა გემრიელი იყო, წყალი - ქართული, თუმცა სიტუაცია - ქაოსური, რომელიც ყელში ბურთს გაბჯენს, რადგან არ იცი, რა უნდა გააკეთო იმისათვის, რომ შენს ქვეყანაში, კაფესა თუ რესტორანში ოკუპანტის ენაზე არ გესაუბრებოდნენ. ვერც იმაზე ვიღებთ კონკრეტულ პასუხს, რატომ ვერ ვიცავთ „სახელმწიფო ენის შესახებ“ კანონს, რომელიც სახელმწიფო და მუნიციპალურ ორგანოებს ავალდებულებს, რეაგირება მოახდინონ სახელმწიფო - ქართული ენის დარღვევის შემთხვევებზე, რომლის არსებობაც საერთოდ დავიწყებული აქვთ იმ კაფეებსა და რესტორნებში, რომლებიც დროებით თუ მუდმივად რუსეთის მოქალაქეების საკუთრებაში გადავიდა და ასეთი არაერთი სივრცე გაჩნდა უკვე ჩვენს ქალაქში.

გადავწყვიტე, აღნიშნულ საკითხზე შემთხვევითი შერჩევის პრინციპით მოქალაქეები გამომეკითხა და მომესმინა მათი პოზიცია, რამდენად ხშირად ხვდებათ მსგავსი სიტუაცია ბათუმში.

***იზო მახარაძე:***

- არ ვიცი, რა ვთქვა, ძალიან გაბრაზებული ვარ, იმდენი რუსი და რუსულად მოსაუბრე ადამიანი დადის ჩემს ქალაქში, ერთგვარი კომპლექსი ჩამომიყალიბდა. მგონია, სახლში შემომივარდებიან, ჩემი საკუთრების ოკუპაციას მოახდენენ. პრინციპში, არც გაუჭირდებათ. ქვეყნის 20 პროცენტი ოკუპირებული აქვთ და რომ გააჩერო და ჰკითხო, ვითომ საერთოდ არ იციან, მათი ქვეყანა რომ ოკუპანტია, არც 2008 წლის ომის შესახებ აქვთ ინფორმაცია. არ ვიცი, როდემდე უნდა ვიყოთ პირში წყალჩაგუბებული. ვგრძნობ, რომ ამათი პარპაში კარგს არაფერს მოუტანს ჩემს ქვეყანას.

***გელა ვარშანიძე:***

- ამ დღეებში, საკუთარ დაბადების დღეზე, ჩხუბი მოგვივიდა ბიჭებს იმის გამო, რომ რესტორანში რუსული სიმღერის გამორთვა მოვითხოვეთ - გვერდით სუფრასთან მსხდომმა რუსებმა ეს გააპროტესტეს და უფლებების შეზღუდვაში დაგვადანაშაულეს. ჩვენ ჩვენი გავიტანეთ და რუსული სიმღერა, სანამ იქ ვიყავით, არ გაუღერებულა, თუმცა გული იმაზე დამწყდა, რომ დაცვის წევრებმა, ასევე, რესტორნის მეპატრონემ ჩვენ გაგვამტყუნეს, სტუმრებს დისკომფორტს ნუ უქმნითო. მართლა მგონია, რომ გულმავიწყი ხალხი ვართ ქართველები, აღარ გვახსოვს 2008 წლის ომი და ჩვენი ვაჟკაცები, რომლებიც ამ ომს შეეწირნენ. არ მესმის, როგორ შეგვიძლია რამდენიმეთვიანი მატერიალური კეთილდღეობის გამო, რაზეც აპელირებენ რესტორნები და ისინი, ვინც უძრავ თუ მოძრავ ქონებას რუსებზე აქირავებენ, ამათ ხუშტურზე იარო და ცივი ნიავი არ მიაკარო. ხალხო, გამოფხიზლდით, სანამ ჩვენს ქვეყანაში ჩვენვე მოგვიკეტეს ყველა იმ დაწესებულების კარი, სადაც უმრავლესობით აღმოჩნდებიან.

იხ. მე-7 გვ.

# „ჩვენს ჯგუფს საერთაშორისო ასპარეზზე გასვლის ძალიან დიდი შანსი აქვს“

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

***ბათუმელი მომღერალი თეო ჩიტიშვილი როკ-ჯგუფ „ვანილა ქეიჯის“ ვოკალისტია. ამჟამად ის საფრანგეთის ქალაქ ბრესუირში ცხოვრობს. მომღერალი არ დაგვზარდა და საფრანგეთიდან გაგვესაუბრა***

- ჩემს მშობლებს თუ დავუჯერებთ, ლაპარაკიც არ ვიცოდი, როცა უკვე ვმღეროდი. არ მიკვირს, რადგან ჩემი შვილი ამის ცოცხალი მაგალითია. ვუკრავდი ფორტეპიანოზე, დავამთავრე ზაქარია ფალიაშვილის სახელობის მუსიკალური შვიდწლედი, სიმღერაში კი ჩემი წარმატება 18 წლიდან დაიწყო, როცა „ნუცას სკოლაში“ მივიღე მონაწილეობა. აქტიური მუსიკალური ცხოვრებაც აქედან იღებს სათავეს. ვმონაწილეობდი ისეთ პროექტებში, როგორიცაა „ქართული ვოისი“, „X ფაქტორი“, ასევე, გავედი 2012 წლის ევროვიზიის ეროვნულ შესარჩევ კონკურსზე ჯგუფ „ვანილა ქეიჯთან“ ერთად, - ამბობს თეო. მისივე თქმით, ამ ჯგუფის შექმნის იდეას 2009 წლიდან ჩაეყარა საფუძველი. ჯგუფი 3 გოგონასგან შედგებოდა (ბასგიტარა, სოლოგიტარა და დრამი).

- გოგონები ეძებდნენ ვოკალისტს, დამიკავშირდნენ ფეისბუქის საშუალებით და შემომთავაზეს მათთან სიმღერა. დავინტერესდი, პირადად გავიცანი ისინი, დავინახე მათი შესაძლებლობები. ძალიან საინტერესოდ მივიჩნიე ის ფაქტი, რომ როკ-ჯგუფის შემადგენლობაში მხოლოდ გოგონები იყვნენ და დიდი სიხარულით დავთანხმდი. პროფესიონალურ ჯგუფად უკვე 2015 წლიდან ჩამოვყალიბდით. აქტიურად ჩავებით მუსიკალურ ცხოვრებაში, ვმონაწილეობდით სხვადასხვა ფესტივალში, მათ შორის, საქართველოს „ოუფენ ეარშიც“. შარშან, ზაფხულში მსოფლიოში ყველაზე გრანდიოზულ როკ-ფესტივალში მივიღე მონაწილეობა, რომელიც საფრანგეთში ტარდებოდა. „ჰელლ ფესტ“ - ასე ეწოდება ფესტივალს, სადაც გამოდიან ისეთი ვარსკვლავები და როკ-ჯგუფები, როგორებიც არიან: მერლინ მენსონი, „დიფ ფარფლი“, „ლინკ ბიზკიტი“, „აირონ მეიდენი“, „აეროსმიტი“, ჯონი დეპიც კი. ჩემს საოცნებო ჯგუფებთან ერთად დავუკარით, რომლებსაც ვუსმენ მთელი ცხოვრება. ეს იყო ყველაზე დიდი წარმატება. „ვანილა ქეიჯი“ არის „ნიუქომერს 2015“-ის ერთ-ერთი გამარჯვებულიც. ასევე, თბილისის ერთ-ერთ კლუბში ლეგენდარულ ჯგუფ „სეპულტურასთან“ ერთად გამოვედით, ოღონდ არა - მთლიანი შემადგენლობით. მე ვმღეროდი, ჩვენი ერთი გიტარისტი კი უკრავდა. ესეც დაუვიწყარი მომენტი იყო, - გვითხრა თეო ჩიტიშვილმა.

გოგონები უკრავენ როგორც ცნობილი შემსრულებლების „ქავერებს“, ისე საავტორო სიმღერებსაც. როგორც ჩვენმა რესპონდენტმა გვითხრა, ახლა მუშაობენ მინიალბომზე, რომელშიც შევა ხუთი საავტორო სიმღერა და იმედოვნებენ, რომ მომავალ წელს მზად იქნება. „ჰელლ ფესტზეც“ საკუთარი სიმღერით წარსდგებიან, რაც ფესტივალის ერთ-ერთი აუცილებელი მოთხოვნაა.

თეოს სიყვარულის ისტორია კი ზღაპარს ჰგავს, მსგავსი ისტორიები მხოლოდ ფილმებში გვინახავს და გვინდა, რეალობაშიც ასე ხდებოდეს...

- ძალიან მიყვარდა ერთ-ერთი ფრანგული ჯგუფი სახელწოდებით „ტრეპალიუმი“, რომელსაც წლების განმავლობაში ვუსმენდი. მათი სიმღერები მქონდა მობილურ ტელეფონში, პლეერში, ვაზიარებდი სოციალურ ქსელებში, ვიდეოებს ხშირად ვტვირთავდი ჩემს ფეისბუქგვერდზე. ერთხელაც, „ტრეპალიუმის“ დრამერისგან მივიღე წერილი... ის მადლობას მიხდიდა იმისთვის, რომ ვაზიარებდი მათ სიმღერებს და ვუსმენდი მათ შემოქმედებას. დავიწყეთ მიმოწერა, შემდეგ საქართველოშიც ჩამომაკითხა... დღეს ის ჩემი მეუღლეა და გვყავს ულამაზესი შვილი - ელენა. ეს იყო სრულიად წამოუდგენელი, ვერც კი ვიფიქრებდი, რომ ჩემი ცხოვრება ერთ-ერთი საყვარელი ჯგუფის წევრს დაუკავშირდებოდა, - ამბობს მომღერალი. ჩვენ მას ვთხოვეთ საფრანგეთში გატარებულ პერიოდზეც ესაუბრა.

- როცა მეუღლესთან ერთად საფრანგეთში პირველად ჩამოვედი, 7 თვის ფეხმძიმე ვიყავი, - იხსენებს თეო, - დავტოვე ყველაფერი: ოჯახი, სამსახური, მეგობრები, ქვეყანა... როდესაც ელენა დაიბადა და სრულიად მარტო აღმოვჩნდი უცხო ქვეყანაში, ძალიან გამიჭირდა. ფრანგულად მაშინ არ ვსაუბრობდი. მოგეხსენებათ, საფრანგეთი ერთადერთი ქვეყანაა ევროპის მასშტაბით, სადაც ყველაზე ნაკლებად საუბრობენ ინგლისურად. მეუღლის გარდა, არავინ მესაუბრებოდა ამ ენაზე, ამიტომაც მიჭირდა კომუნიკაცია. ხშირად იყო გაუგებრობები, მეუღლის მშობლებს ჟესტებით ვაგებინებდი სათქმელს, ძალიან მაკლდა ჩემი მშობლები, ახლობლები... ამ მხრივ დიდი სტრესი გადავიტანე, თუმცა ძლიერი ადამიანი აღმოვჩნდი. ძალიან მალე ავითვისე ფრანგული ენა, შევეგუე და მოვერგე ყველაფერს. აქ ხალხი ძალიან პოზიტიურია და ეს მომწონს. არ არიან ბრაზიანები, ყველა ყველას უღიმის, ქუჩაში უცნობ ადამიანებსაც კი ესალმებიან, გასცემენ უდიდეს სითბოს. ოჯახის წევრებიც ერთმანეთთან ძალიან მოკრძალებულები არიან, ხშირად მესმის სიტყვები: ბოდიში, თუ შეიძლება... რაც უნდა გაბრაზებით თქვა რამე, თავად ღიმილით, ან ხუმრობით გპასუხობენ. სახელმწიფოც მეტად ზრუნავს საკუთარ მოქალაქეებზე. მაგალითად: თუ დაკარგე სამსახური და დროებით უმუშევარი ხარ, სანამ ახალ სამსახურს მოძებნი, სახელმწიფო გირიცხავს შენი ხელფასის 75%-ს ყოველ თვე. არსებობს ძალიან ბევრი სოციალური დახმარება. ყველა მოქალაქეს, და მათ შორის მეც, ვისაც ჰყავს მცირეწლოვანი ბავშვი, ყოველთვიურად ერიცხება გარკვეული თანხა, რათა ბავშვს არ მოაკლდეს საკვები და ა.შ. თუმცა, მიუხედავად ამისა, არის სირთულეებიც: უზარმაზარი გადასახადებია, შესავსებია ძალიან ბევრი დოკუმენტი, ადვილად ვერაფერს გააკეთებ. სტომატოლოგთან რომ მიხვიდე, ერთი თვით ადრე უნდა ჩაეწერო... ამ მხრივ ცხოვრება რთულია.

თეო ამბობს, რომ მეუღლის მშობლებში ძალიან გაუმართლა, ისინი მეგობრულები, გახსნილები, უზომოდ კეთილები არიან...

- როგორც შვილი, ისე ვგრძნობ თავს მათთან და ესეც მიადვილებს ჩემი მშობლებისგან შორს ყოფნას. რა თქმა უნდა, არის განსხვავება შეხედულებებში, კულტურაში... სხვადასხვანაირად აღვიზარდეთ, თუმცა, როცა ვაფიქსირებ ჩემს აზრს და ვამბობ, რომ მე ასე მიმაჩნია სწორად, თუნდაც ბავშვთან მიმართებაში, ყოველთვის ითვალისწინებენ და პატივს სცემენ. ძალიან მოხარული ვარ ამით, რადგან ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, - ამბობს მომღერალი.

თეო ელენას მხოლოდ ქართულად ესაუბრება, სხვა ყველა - ფრანგულად, ამიტომ ბავშვმა ორივე ენა აითვისა. ელენამ ჯერ კიდევ 2 წლის ასაკში ზეპირად იცოდა ყველა ლათინური ასო, ითვლიდა ათამდე ორივე ენაზე, ამბობდა ფრაზებს და იცოდა ძალიან ბევრი სიტყვა. ასევე, უამრავი სიმღერა, რომელსაც მღერის ზუსტი მელოდიით. ძალიან უყვარს დისნეის გმირები, იცის მათი სახელები, ყველა გმირის იმიტაციას აკეთებს თავისი სიმღერით და მანერით.

- როცა ვმუშაობთ, ბავშვი ხან - ბებოსთან, ხანაც ძიძასთან მიგვყავს. აქ ასეთი სისტემაა - ძიძას თავის სახლში რამდენიმე ბავშვი ჰყავს. მიგყავს ბავშვი, ტოვებ და როცა სამსახურს ამთავრებ, აკითხავ. ერთგვარი საბავშვო ბაღია, მაგრამ, სახლში, - გვიამბობს თეო, - ბავშვთან ერთად საქართველოში ყოველ 2 თვეში ჩამოვდიოდი, რადგან ვერ ვძლებდი ჩემების გარეშე. ახლა ჩავერთე აქაურ ცხოვრებაში, დავიწყე მუშაობა, ელენაც ბაღში დადის და ამიტომ ხშირად ჩამოსვლას ვეღარ ვახერხებ, თუმცა ზაფხულობთ მაინც დავდივართ. პროფესიით ბიოლოგი ვარ, საფრანგეთში ჩემი დიპლომი უნდა შემოწმდეს, რათა გავიგო, შემეძლება თუ არა მუშაობა პროფესიით. აქ გაიხსნა ლაბორატორია, სადაც მუშაობის დაწყების შანსი მაქვს, პარალელურად, სხვადასხვა „ივენთზე“ ვმღერი, ამისთვის სიმღერებსაც ვამზადებ, მაგრამ ამ ყველაფერს დრო სჭირდება. ძალიან რთულია, უცხო ქვეყნის მოქალაქემ საფრანგეთში ნახო კარგი სამსახური. ამიტომ, დრო რომ არ დავკარგო, დროებით „მაკდონალდსში“ ვმუშაობ. სანამ ამ სისტემაში მოვხვდებოდი, ვიცოდი, რომ იყო ძალიან რთული სამუშაო, თუმცა საფრანგეთში არის საათობრივი ანაზღაურება. მინიმალური ხელფასი 1 საათში 10 ევროა. ამაზე ნაკლების გადახდის უფლება არავის აქვს. თუ მეტს მუშაობ, შესაბამისად, მეტს გიხდიან. როცა მუშაობა დავიწყე, საკმაოდ კარგი ანაზღაურების მიუხედავად, მივხვდი, თუ როგორი შრომატევადია ეს საქმე. საქართველოში კი ისეთ მწირ ხელფასზე მუშაობენ ამ სისტემაში ახალგაზრდები, საცოდაობაა. ძალიან გულდასაწყვეტია ეს ყველაფერი.

თეოს თქმით, მისმა მშობლებმა, რა თქმა უნდა, იცოდნენ, რომ მიმოწერა ჰქონდა ფრანგ მუსიკოსთან, თუმცა ამას სერიოზულად არ აღიქვამდნენ.

- როცა სილვას (ჩემი მეუღლე) ჩამოსვლის და ხელის თხოვნის საკითხი დადგა, რა თქმა უნდა, მშობლები აღელდნენ. მათი მხრიდან მსგავსი რეაქცია ნორმალურიც იყო, მაგრამ როცა პირადად გაიცნეს და მიხვდნენ, როგორი ადამიანიც იყო, პოზიტიურად განეწყვნენ, დამშვიდდნენ. დარწმუნდნენ, რომ ამ ადამიანის გვერდით მათი შვილი ბედნიერი იქნებოდა და ასეც არის. სილვა არის უზომოდ კეთილი, გულღია და მეგობრული. მიუხედავად იმისა, რომ ხშირად დადის ტურნეებში, სხვადასხვა როკ-ფესტივალზე და უკრავს, ასევე, ძალიან ცნობილ ჯგუფში სახელწოდებით - „იგორრრ“, ის მაინც ახერხებს ოჯახისთვის დროის დათმობას. თვლის, რომ მხოლოდ მე არ უნდა ვალაგებდე სახლს, არ უნდა ვრეცხავდე ჭურჭელს, მარტო არ უნდა ვუვლიდე ბავშვს. ამბობს, რომ ეს მისი მოვალეობაცაა. თუ ერთ დღეს მე დავრეცხე ჭურჭელი და მეორე დღესაც დავაპირე, აუცილებლად მეტყვის - შენ ხომ გუშინ უკვე გარეცხე, ახლა ჩემი ჯერიაო. ძალიან ბევრს მეხმარება და ალბათ, ამითი განსხვავდება ქართველი მამაკაცებისგან. ქართველებს მიაჩნიათ, რომ ეს არ არის მამაკაცის საქმე. მიხარია, როცა ასეთი თანწყობაა ცოლ-ქმარს შორის, - გვითხრა მომღერალმა

თეო ჩიტიშვილის თქმით, მისი სამომავლო გეგმები და მუსიკალური კარიერა მაინც ჯგუფ „ვანილა ქეიჯს“ უკავშირდება.

- შესაძლებელია, სოლო პროექტზეც ვიმუშაოთ. ვთვლი, რომ ჩვენს ჯგუფს საერთაშორისო ასპარეზზე გასვლის ძალიან დიდი შანსი აქვს, - გვითხრა დასასრულ თეო ჩიტიშვილმა.

# ხელოვნების ცენტრში კომპოზიტორ გიული კუბლაშვილის სიმღერები შესრულდა

ზიჭრია დავლაძე 597 25 25 72

***4 აგვისტოს, ბათუმის ხელოვნების ცენტრში დამწყებმა და პროფესიონალმა მომღერლებმა გიული კუბლაშვილის შემოქმედებიდან 15 კომპოზიცია შეასრულეს. ორსაათიანი პროგრამა სხვა კომპოზიტორების სიმღერებსაც დაეთმო***

- დღეს ჩემი მუსიკალური საღამოა, საერთო ჯამში, 30 ნომერია წარმოდგენილი, აქედან 15 ჩემი საავტორო სიმღერაა, დანარჩენი კი ყველასთვის ცნობილი პოპულარული სიმღერებია. მონაწილეობდნენ როგორც პოპულარული მომღერლები, ასევე ახალბედები, არიან სტუმრები თბილისიდან და ბათუმიდან, რაც ძალიან მახარებს, - განაცხადა კომპოზიტორმა.

**- სცენაზე მომღერლებმა თქვენ მიერ შექმნილი ძველი სიმღერები წარმოადგინეს თუ რეპერტუარში იყო ახლებიც?**

- სიმღერები, რომლებიც შესრულდა, ჯერ არსად გაჟღერებულა, დღეს მოისმინა მსმენელმა პირველად, ველოდები შთაბეჭდილებებს. სწორედ დღევანდელი დღე განაპირობებს იმას, საახალწლოდ გაიმართება თუ არა ჩემი სოლო კონცერტი, რომლის ჩატარებასაც დიდი ხანია ვგეგმავ. კონცერტში მონაწილეობდნენ ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებიც, რომლებიც პროფესიონალურად მღერიან, არიან ისეთებიც რომლებიც ახლა სწავლობენ, - გვითხრა გიული კუბლაშვილმა.

კომპოზიტორ გიული კუბლაშვილის ერთ-ერთი ახალი სიმღერა მისმა ყოფილმა მოწაფე ავთო აბესლამიძემ შეასრულა. მომღერალი ხშირად ასრულებს პედაგოგის სიმღერებს.

- მიხარია, რომ ახალ თაობასთან ერთად მიწევს სცენაზე გამოსვლა. არაერთი მუსიკოსი გაზარდა გიული კუბლაშვილმა. ძალიან კარგი, მონდომებული, სიმღერაზე შეყვარებული თაობა მოდის. მათ წარმატებებსა და პროფესიულ წინსვლას ვუსურვებ, - გვითხრა ავთო აბესლამიძემ.

უცხოური კომპოზიციები შეასრულა მომღერალმა ანა კომახიძემ. როგორც მან გაზეთ „აჭარასთან“ საუბრისას თქვა, ამ მიმართულებით სცენაზე პირველად წარსდგა.

- ხელოვნებით დიდი ხანია ვარ დაკავებული, სცენაზეც ბევრჯერ ვმდგარვარ, თუმცა სიმღერით პირველად წარვსდექი. შევასრულე გია ყანჩელის „ყვითელი ფოთლები“ და ასევე, უცხოური სიმღერები, - გვითხრა ახალბედა მომღერალმა.

კონცერტის მხარდამჭერები იყვნენ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმის ხელოვნების ცენტრი და აზერბაიჯანის საკონსულო. აზერბაიჯანის დიასპორის წარმომადგენლები კონცერტშიც მონაწილეობდნენ.

# «ყველა ჯილდოს დღემდე სათუთად ვინახავ»

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

***მერისელი გივი (მესხუდ) თურმანიძე ქართულ ფოლკლორთანაა წილნაყარი. 70 წელს მიტანებული გურამ კაკაბაძე იხსენებს: «მერისის კოლმეურნეობას რომ ვხელმძღვანელობდი, გივი მაშინ მძღოლად, შემდეგ კოლმეურნეობის ბუღალტერიის მოლარე-მოანგარიშედ მუშაობდა. თავისუფალ დროს ნახავდა თუ არა, კულტურის სახლში შეირბენდა და ანსამბლის წევრებთან ერთად «განდაგანის» თავისებურ ვარიანტს ჩამოუვლიდა. სამსახურს არ ღალატობდა, თუმცა ხელოვნება უფრო იტაცებდა»***

გივის რთული, გაუსაძლისი ბავშვობა ჰქონდა. მამა ადრე გარდაეცვალა, 8 წლის ყმაწვილს დედასთან ერთად მოუხდა ოჯახის გაძღოლა. მეორე მსოფლიო ომი რომ დასრულდა, უკვე 13 წლის იყო. მაშინ მოძებნა მამისეული ჭიბონი და აახმიანა. ოჯახსაც მალე მოეკიდა, ბედი ნამონასტრეველ გოგონას დაუკავშირა. ფადიმე და გივი თითქმის 60 წელი ერთად მოდიოდნენ. 4 შვილი, 14 შვილიშვილი და ოცამდე შვილთაშვილია მათი მონაგარი: მამა ბუნდოვნად ახსოვს, დედა ასაკში შესულმა დაიტირა, მაგრამ ოთხი წლის წინ გარდაცვლილი მეუღლე მისთვის ყველაზე დიდი დანაკლისი იყო.

- სიყვარულზე, სიამტკბილობაზე დაფუძნებული ოჯახი ჰქონდათ, - თქვა მერისელმა შუქრი თურმანიძემ. - გივის ბიძა სულეიმანი მეჭიბონე და კარგი მოცეკვავე იყო, გივის ცეკვის ილეთებს ასწავლიდა, იმ წესებსაც აზიარებდა, რომელიც მერისელებს სტუმართან, მეგობართან ურთიერთობაში წესად აქვთ დამკვიდრებული. გივის წლები რომ მოემატა, თავად იქცა შთამომავლობის, ახლობლების, თანახეობელების დამრიგებლად.

ეთნომუსიკოლოგი, დოქტორანტი ნინო რაზმაძე თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტი რომ იყო, მერისის ხეობაში პირველად მაშინ ჩამოვიდა და გივისა და ფადიმეს ოჯახს, მათ ხელოვნებას საფუძვლიანად გაეცნო. გივის ერთი ვაჟი ჯემალი მერისის კულტურის სახლთან არსებული ფოლკლორული ანსამბლის «მოყვარე» წევრია. მის მიერ შესრულებული ხალხური ცეკვა «ფათიკო» მაყურებლის მოწონებით სარგებლობს. ნინომ მერისის ხეობაში რამდენიმე ფოლკლორული ექსპედიცია მოაწყო, გადაიღო დოკუმენტური ფილმი, ბოლოს მისი საქმიანობა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში «ერთი ხეობის ფოლკლორის» საღამოს გამართვით დააგვირგვინა. ნინომ 90 წლის გივის დაბადების დღე თბილისიდან მიულოცა.

შვილებზე, შთამომავლობაზე მზრუნველი გივი მათი მიღწევებით ხარობს. თამაზმა წლები ქართული ჯარის ჩამოყალიბებას შეალია. თადარიგის პოლკოვნიკი ახლა მეტწილ დროს მერისში ატარებს, მამას, ახლობლებს გულს უხარებს.

გივის საოჯახო არქივში სათუთად ინახება ოლიმპიადებზე, რესპუბლიკურ და საერთაშორისო ფესტივალებზე მოპოვებული დიპლომები, სიგელები, მედლები, მადლობის ბარათები. თანახეობელებმაც დაუფასეს ამაგი, «საპატიო მერისელის» დიპლომი 2012 წელს, დაბადებიდან 80 წლისთავზე გადასცეს, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ კი საპატიო სიგელით დააჯილდოვა.

- ყველა ჯილდოს დღემდე სათუთად ვინახავ. ჩემთვის ყველაზე დიდი აღიარება ქართული ფოლკლორის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის გადმოცემული ჯილდოა. ყველა თაობის ხელოვანები, ცნობილი არტისტები და მოცეკვავეები მეფერებოდნენ და მეფერებიან. ქედაში 90 წელს მიტანებულმა ლეო ანთაძემ საღამო რომ გამართა, იუბილე იქიდან მიულოცა. მეხსიერებას სათუთად შემორჩნენ ანზორ ერქომაიშვილი და ვახუშტი კოტეტიშვილი. მათ სხვებთან ერთად, მეც ვუმასპინძლე. ვახუშტი ნამონასტრევშიც ვისტუმრეთ. იქაური ოთარ თურმანიძის ხელობით დაინტერესდა, სახელდახელოდ წყლის დაზგაზე მოხვეწილი ჯამიც ვუსახსოვრეთ. მთაშიც მივიპატიჟეთ, მაგრამ დროის უკმარისობის გამო, ლაშესა და კოსლითავში წამოსვლა ვერ შეძლო. ანზორ ერქომაიშვილი მე და მერისის კულტურის სახლთან არსებული ანსამბლის მომღერალ-მოცეკვავეს ოჯახის წევრებად მიგვიჩნევდა. მათი გზა გაგრძელეს გიორგი უშიკიშვილმა და გიორგი დონაძემ. ჩვენმა ანსამბლმა «მოყვარე» სერტიფიკატი რომ მოიპოვა, მათი დამსახურება იყო. ჩემდამი გამოჩენილი გულისხმიერება არ მინდა დავუკარგო აჭარაში მოღვაწე ხელოვანებს ზაურ ლაზიშვილს, გურამ თურმანიძეს, ზურაბ ხაბაძეს, თანარაიონელ ბორის ღოღობერიძეს, - გვითხრა გივიმ, რომელიც დღეს შვილთან - ჯემალთან ერთად, ფოლკლორულ ანსამბლ «მოყვარეს» წევრია. ახლა რესპუბლიკური ფესტივალისთვის ემზადება, ამ დღეებში კი «შუამთობის» სახალხო დღესასწაულზე კოსლითავში, სასადილოსა და ლაშეზე მყოფ თანახეობელებს ესტუმრება.

- აჭარის მთიანეთში შემონახული ხალხური დღესასწაულებიდან «შუამთობამ» ყველა დროის გამოცდას გაუძლო. ძალიან მწყინს, რომ მას ჩატარების დრო შეუცვალეს. ჩემი თაობის ახალგაზრდები «შუამთობას» ძველი სტილით ივლისის პირველ კვირას, კვირიკობა დღეს ვზეიმობდით. ამ დროს თოხნის სამუშაოები მოთავებული იყო. ავიდოდით ფეხით, ცხენით მთებში, მოვილხენდით და უკან ვბრუნდებოდით. ალკოჰოლს არ ვეძალებოდით. ახლა ივლისიდან აგვისტოს პირველ კვირას გადმოიტანეს, რაღაც «კვირეულიც» დააწესეს... ხალხს სახალხო ზეიმი მაინც დაგვითმონ, - გულისტკივილით გვითხრა იუბილარმა.

# 72 პროექტი დაფინანსდება

ციტნე ცაბაძე 27 48 93

***ქედის მუნიციპალიტეტში „მონაწილობითი ბიუჯეტის“ პროგრამის ფარგლებში, საკრებულოს მორიგ სხდომაზე 2022 წელს განსახორციელებელ ღონისძიებათა ნუსხა დაამტკიცეს***

მუნიციპალიტეტში 222 იდეა დარეგისტრირდა, მათგან მეორე ეტაპზე 205 გადავიდა. კენჭისყრის შედეგად, რომელშიც 5000 მოქალაქე მონაწილეობდა, დაბაში და სოფლებში 72 პროექტი დაფინანსდება.

„მონაწილეობითი ბიუჯეტის“ პროგრამის ფარგლებში, 64 სოფელში შემდეგი პროექტები განხორციელდება: მზა ბეტონის შეძენა; გარეგანათების მოწყობა; სარწყავი მილების შეძენა; პარკის რეაბილიტაცია; ტრენაჟორების, ფანჩატურების და ატრაქციონების შეძენა-მონტაჟი; ბილიკების მოწყობა; წისქვილის რეაბილიტაცია; თხილისა და ყურძნის სარჩევი აპარატის შეძენა; მთის ელექტროსისტემის რეაბილიტაცია; სპორტული მოედნის რეაბილიტაცია; მაგიდის ჩოგბურთისა და სარიტუალო ინვენტარის შეძენა.

პროექტები ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდება, რისთვისაც 1 მილიონ 500 000 ლარია მობილიზებული. შესყიდვების პროცედურები დაწყებულია.

# დეფიციტი დაიძლევა

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

***დაბა შუახევისა და მიმდებარე სოფლების მოსახლეობის ხარისხიანი პურით მომარაგების პრობლემა მალე დაიძლევა***

აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა)იპ „აგროსერვისცენტრის“ თანადაფინანსებით, შუახევის მუნიციპალიტეტში 2021 წლის „სოფლად მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის“ საგრანტო პროგრამის ფარგლებში, პურის საცხობი ამოქმედდა.

„აგროსერვისცენტრის“ დირექტორი რაულ თავართქილაძე, დირექტორის მოადგილე ლერი ტუნაძე და „სოფლად მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის“ საგრანტო პროგრამის მენეჯერი ირაკლი ცისკარაძე გამარჯვებულ ბენეფიციარს უჩა დავითაძეს შეხვდნენ და მის სამეწარმეო საქმიანობას ადგილზე გაეცნენ.

დაბა შუახევში უჩა დავითაძის პურის საცხობი წარმატებით მუშაობს და უზრუნველყოფს უმაღლესი ხარისხის პურის მიწოდებას.

საგრანტო პროგრამის ფარგლებში „აგროსერვისცენტრის“ თანადაფინანსება - 59606 ლარი, ხოლო ბენეფიციარის თანამონაწილეობა 25633 ლარია.

პურის საცხობში 5 ადამიანია დასაქმებული.

# აჭარაში აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებები აქტიურად მიმდინარეობს

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

***აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო წამლობითი ღონისძიება ძირითადად ხელვაჩაურის და ქობულეთის მუნიციპალიტეტებში ხორციელდება. ფართობები თერმული ნისლითა და ცივი შესხურების მეთოდით მუშავდება***

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში ფაროსანას წინააღმდეგ წამლობითი ღონისძიების პროცესს აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი ზაზა შავაძე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის განვითარების სააგენტოს რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროს ლაშა შალამბერიძესთან და მოადგილე მირიან ქათამაძესთან ერთად დაესწრო.

# „სამომხმარებლო სესხები შემცირდება, მოთხოვნა შემცირდება და ეს დაეხმარება ინფლაციას შემცირებაში“

ასე განმარტა საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა კობა გვენეტაძემ რადიო „პალიტრისა“ და „პალიტრანიუსის“ გადაცემაში „საქმე“ სესხებზე ხელმისაწვდომობის გართულებაზე მიღებული გადაწყვეტილება (შეგახსენებთ: ეროვნულმა ბანკმა სამომხმარებლო სესხებზე მაქსიმალური ვადა 4-დან 3 წლამდე შეამცირა).

„ჩვენ უნდა მოვძებნოთ ის ოქროს შუალედი, რომელიც საშუალებას მოგვცემს, ინფლაციასაც გავუმკლავდეთ და ეკონომიკის ზრდასაც არ შევუშალოთ ხელი... დღეს თითქმის ყველა ცენტრალური ბანკი საკმაოდ რთულ ვითარებაშია, მაგრამ მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება არის ერთადერთი გზა, „ქინაქინა“, მწარე წამალი. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში რეცესიას პროგნოზირებენ, რა უნდა ქნას ეროვნულმა ბანკმა, ეს გადაწყვეტილება არ მიიღოს?! სხვა გამოსავალი არ არის. მე ძალიან კარგად მესმის, რომ ეს ისახება ჩვენი მოქალაქეების განკარგვად შემოსავალზე, მაგრამ მოხდა პანდემია, შემდეგ - რუსეთის აგრესია უკრაინაში, რამაც გამოიწვია გლობალური ცვლილებები, თან ერთმანეთის მიჯრით... თუ გავითვალისწინებთ, რომ 2019 წელსაც რუსეთიდან ფრენების შეწყვეტა მოხდა და ტურისტული შემოსავლები დააზიანა, ნიშნავს, რომ დროის მოკლე პერიოდში მესამე შოკია. ოპონენტებსაც ვეტყვი - ეს ნიშნავს, რომ ეროვნული ბანკი პროგნოზებს ვერ აკეთებს? ეს შეუძლებელია. იმდენად მაღალია გაურკვევლობების დონე, რომ შეუძლებელია იმ პროგნოზის გაკეთება, რომელიც გამართლდება. ზუსტად ასეთ სიტუაციაში არიან სხვა ცენტრალური ბანკებიც“, - განაცხადა კობა გვენეტაძემ.

ამირან გურიელიძე

# ბათუმი გია ყანჩელის ხსოვნისადმი მიძღვნილ ფესტივალს მასპინძლობს

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

***4 აგვისტოს დაიწყო და 12-ში დასრულდება მსოფლიოს უდიდეს კომპოზიტორ გია ყანჩელისადმი მიძღვნილი ფესტივალი. სახელგანთქმულ ხელოვანს 10 აგვისტოს 87 წელი შეუსრულდებოდა. ხელოვანთა კავშირი „კონცეპტArt“-ი ამ თარიღს ყოველ წელს სხვადასხვა პროექტით აღნიშნავს***

წელს მის ხსოვნას ხუთი საფესტივალო საღამო ეძღვნება. პირველ დღეს - გახსნას სასტუმრო „ლე მერიდიანეს“ ღია ვერანდამ უმასპინძლა.

შეკრებილთ სიტყვით მიმართეს კომპოზიტორმა, გია ყანჩელის უმცროსმა მეგობარმა ნიკოლოზ რაჭველმა, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე სოფო ხალვაშმა (ამ პროექტის ერთ-ერთი დამფინანსებელი ბათუმის მერიაა), ხელოვანთა კავშირის „კონცეპტArt“-ის სამხატვრო ხელძღვანელმა და პროექტის ავტორმა თეონა ჯორბენაძემ.

ფესტივალის პირველი დღე გია ყანჩელის პატარა მინიატურით გახსნეს სანდრო გეგეჭკორმა (ფორტეპიანო) და ლიზა რამიშვილმა (ჩელო). საერთოდ ფესტივალში ახალი თაობის არაერთი ვარსკვლავი მონაწილეობს. სცენა დაეთმოთ შესანიშნავ მუსიკოსებს ლუკა თოფურიას, ლაშა დეისაძეს, გიორგი კაპანაძეს, ლევან დეისაძეს. მსმენელმა გულთბილად მიიღო როგორც მათი, ასევე თემურიკო დიასამიძის, ანიკო დოლიძისა და ტატო რუსიას გამოსვლა.

- მესამე წელია, რაც გია ყანჩელისადმი მიღვნილი ფესტივალი ტარდება, - აღნიშნა სოფო ხალვაშმა, - სასიხარულოა, რომ ჩვენი ქალაქი მას მეორედ მასპინძლობს. გია ყანჩელი არის მოვლენა, მისი მუსიკა ყოველთვის იცოცხლებს. მიხარია, რომ ამ ყველაფერში არის ჩართული ქალაქ ბათუმის მერია, მისი ერთ-ერთი დამფინანსებელი. მადლობა ყველა მონაწილეს, ორგანიზატორებს, რომლებიც უნაკლოდ და ძალიან მაღალ დონეზე ატარებენ ამ ღონისძიებას.

- სასიხარულოა, რომ ამ პროექტის მასპინძელი წელსაც ბათუმია. ფესტივალში მონაწილეობენ ახალი თაობის მუსიკოსები. ჩემთვის ძალიან საამაყოა, რომ დღეს, თემურიკო დიასამიძის სახით, ძველ მუსიკოსთა შვილების თაობა გამოდის. ის ნიაზ დიასამიძის შვილია. ჩვენთან ერთად არის ტატო რუსია, არაჩვეულებრივი მუსიკოსი. წლევანდელ ფესტივალში უკრაინელი მუსიკოსებიც მონაწილეობენ, საერთაშორისო სტატუსი ფესტივალმა სწორედ ამიტომ მიიღო. მადლობა ყველას, ვინც გვერდით გვიდგას, მარიამ ფხაკაძეს - ამ სასტუმროს წარმომადგენელს, - გვითხრა ხელოვანთა კავშირ „კონცეპტArt“-ის სამხატვრო ხელძღვანელმა და პროექტის ავტორმა თეონა ჯორბენაძემ.

- ჩვენ ძალიან დიდი მორალური პასუხისმგებლობა გვაკისრია - გია ყანჩელის სამშობლოში ყოველთვის ულერდეს მისი მუსიკა და ეს, მაღალ ხარისხში. ის მსოფლიო მნიშვნელობის კომპოზიტორია, ვინც მსოფლიოს დაუტოვა, პირველ რიგში, თავისი სიმფონიური მუსიკა, ამას გარდა, კიდევ ჩვენს ქვეყანას - ქართული კინოფილმებისა და თეატრისთვის შექმნილი უამრავი მელოდია, რომლებიც უკვდავია. ეს მუსიკა გაცილებით სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა, ვიდრე ფილმები, რომლისთვისაც ის ამ მელოდიებს წერდა. სიცოცხლის ბოლო ორი ათეული წელი, მე და ჩემი გუნდი, მისთვის ის ადამიანები ვიყავით, ვინც მოსწონდა, ვისაც ენდობოდა და აძლევდა უფლებას, გაეკეთებინა მისი მელოდიების ვერსიები, ინტერპრეტაციები. მისი ამ ცხოვრებიდან წასვლის შემდეგ, თითქოს მემკვიდრეობით გვერგო, ვაკონტროლოთ, რომ ყველაფერი, რაც მას უნდოდა, კარგად და სწორად გაგრძელდეს. ის ძალიან მაღალი გემოვნების ადამიანი იყო და ამიტომაც ვცდილობთ, რაც მას ეხება, ყოველთვის იყოს ძალიან მაღალ, აკადემიურ, სრულყოფილებასთან მიახლოებულ დონეზე, - თქვა „აჭარასთან“ ნიკა რაჭველმა.

- გია ყანჩელის როლი ქართულ მუსიკალურ კულტურაში შეუფასებელია. ვფიქრობ, მსგავსი მასშტაბის კომპოზიტორი არც კი გვყოლია. 7 აგვისტოს ჩემი და ლიზა რამიშვილის ერთობლივი კონცერტი გაიმართება, სადაც შესრულდება კლასიკა. ისიც მინდა ვთქვა, რომ ბათუმის ფონზე ფესტივალი ბევრად საინტერესო ხდება. მადლობა თეონა ჯორბენაძეს და ყველას, ვინც მას გვერდით უდგას ამ პროექტისთვის, - გვითხრა ახალგაზრდა პიანისტმა სანდრო გეგეჭკორმა.

ფესტივალის პროგრამა საინტერესო და მარავალფეროვანია. როგორც აღვნიშნეთ, 7 აგვისტოს სასტუმრო „ლე მერიდიანეს“ დარბაზში კამერული მუსიკის საღამო გაიმართება, 9 აგვისტოს ამავე დარბაზში დაუკრავენ გამორჩეული მუსიკოსები, პიანისტი, პროფესორი, თანამედროვე მუსიკის საუკეთესო შემსრულებელი ნინო ჟვანია (საქართველო) და მევიოლინე გრიგორი ამბარცუმიანი (უკრაინა). 10 აგვისტროს, გია ყანჩელის დაბადების დღეს, კინოთეატრ „აპოლოში“ შედგება მაესტროს შესახებ გადაღებული უკანასკნელი ფილმის - „სევდის ანგელოზების“ ჩვენება, რომელიც ფილმის სცენარისტმა თეონა ჯორბენაძემ რამდენიმე ქალაქში გადაიღო (ბერლინი, ბრიუსელი, ანტვერპენი, ბაქო, თბილისი და ბათუმი). ფილმში მონაწილეობენ ნიკოლოზ რაჭველი, გიორგი ცაგარელი, ბექა გოჩიაშვილი და სხვები.

12 აგვისტოს ფესტივალი ბათუმის ხელოვნების ცენტრში დაიხურება. მსმენელის წინაშე წარსდგება 12 წლის ქართველი პიანისტი და კომპოზიტორი ცოტნე ზედგენიძე, რომელმაც მთელი მსოფლიოს მუსიკალური საზოგადოება აღაფრთოვანა. მას მე-20 საუკუნის მოცარტს უწოდებენ. კონცერტში მონაწილეობს ევგენი მიქელაძის სახელობის საქართველოს ეროვნული სიმფონიური ორკესტრი ნიკოლოზ რაჭველის დირიჟორობით. სპეციალური სტუმრების რანგში ბათუმის სცენაზე პირველად გამოვლენ 12 წლის უკრაინელი მუსიკოსები ვლად და ეკატერინე კორენები, ეროვნული ორკესტრის შემადგენლობაში კი ასევე მოწვეულები არიან უცხოელი მუსიკოსები - მურად იბრაგიმოვი და გიორგი იმანოვი (ორივე - აზერბაიჯანი). 12 აგვისტოს ფესტივალის სპეციალური სტუმარი იქნება ცნობილი ალტისტი გიორგი ცაგარელი.

## „როცა ბაზაზე ტაქსით მივდიოდი, ხალხმა მაშინვე მიცნო“

საქართველოს ნაკრებისა და „ნაპოლის“ შემტევმა ხვიჩა კვარაცხელიამ „ჟირონასთან“ მატჩამდე „ნაპოლის“ ფეისბუქგვერდზე მცირე კომენტარი გააკეთა: „აქ ფეხბურთელების მიმართ შესანიშნავი მიდგომა აქვთ და გულშემატკივრებს ვპირდები, რომ კლუბის წარმატებისთვის მაქსიმალურად დავიხარჯები. ისინი კლუბზე ყოველთვის კარგად ლაპარაკობენ“. „პირველივე ჩამოსვლის შემდეგ, როდესაც ბაზაზე ტაქსით მივდიოდი, ხალხმა მაშინვე მიცნო. აქ ყოფნა ახალი გამოცდილების მისაღებად შესანიშნავი შესაძლებლობაა. ახალი სეზონისთვის აქტიურად ვემზადებით და გულშემატკივარს მაქსიმალურ ერთგულებას ვპირდები. Forza Napoli, სამუდამოდ!“.

ამ კომენტარის შემდეგ, ქართველმა ფეხბურთელმა „ჟირონასთან“ ითამაშა და ქომაგებს თავი კიდევ ერთხელ დაამახსოვრა: კვარამ მე-80 წუთზე თერთმეტმეტრიანი მოიპოვა, რომელიც თავადვე შეასრულა და საბოლოო ანგარიში - 3:1 დააფიქსირა. შეხვედრის დასრულების შემდეგ ხვიჩამ საკუთარ ინსტაგრამგვერდზე „სთორი“ გამოაქვეყნა წარწერით - „მიყვარს ეს შეგრძნებები“.

შეგახსენებთ: 21 წლის ქართველმა ფეხბურთელმა „ნაპოლის“ შემადგენლობაში 5 ამხანაგური მატჩი ჩაატარა, რომლებშიც 4 გოლი გაიტანა და 1 საგოლე გადაცემა შეასრულა. ლუჩიანო სპალეტის გუნდი იტალიის სერია A-ს ახალ სეზონს 15 აგვისტოს „ვერონასთან“ გასვლითი მატჩით დაიწყებს.

ამირან გურიელიძე

## ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიის განცხადება

„გვსურს, გამოვეხმაუროთ ტელეკომპანია „მთავარი არხის“ ეთერში 2022 წლის 4 აგვისტოს გასულ სიუჟეტს, რომელიც ქობულეთის საზაფხულო სკოლა-ბანაკ „სამშობლოში“ უკრაინელი მოზარდების დასვენებას ეხებოდა, სადაც ითქვა, რომ ამის უზრუნველყოფა მოხდა „კოკა-კოლასა“ და ჭყონიების ოჯახის საშუალებით.

მოგახსენებთ, რომ საქართველოს საპატრიარქოს ძალისხმევით (სიუჟეტში ნახსენებიც კი არ იყო) ივლის-აგვისტოში ბანაკში მოწვეული იქნა 200 უკრაინელი მოზარდი 14-14 დღით. ჭყონიების ოჯახმა ამ საქველმოქმედო საქმეში შეიტანა წვლილი (რასაც დიდად ვაფასებთ), მაგრამ არა - გადამწყვეტი. ჩვენ მადლობას ვწირავთ სხვა შემომწირველებს (გასულ სიუჟეტში ნახსენები არ არის მათი სახელები) და, მათი ნების საწინააღმდეგოდ, ვაქვეყნებთ შემოწირული თანხების რაოდენობას. 4 კვირის განმავლობაში 200 მოზარდის დასვენების საერთო ღირებულება 76 000 ლარი, ოთხჯერადი კვებით, ექსკურსიებით და ღონისძიებებით:

საქართველოს საპატრიარქო - 50 000 ლარი; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა - 40 000 ლარი; ჯემალ ინაიშვილი - 20 000 ლარი; თემურ ჭყონია - 15 000 ლარი; ზაზა გოგოტიშვილი - 10 000 ლარი; თენგიზ ბაკურიძე - 6 000 ლარი; ლევან მუავანაძე - 20000 ლარი. მესამე ეტაპზე, უკრაინელი მოზარდების გასტუმრების შემდეგ, მოწვეულია ლეიკემიით დაავადებული 25 ბავშვი („ბერი ანდრიას ფონდის“ მიერ ორგანიზებული) მათ მშობლებსა და და დედმამიშვილებთან ერთად, ასევე მრავალშვილიანი და შეჭირვებული ოჯახების შვილები.

ბანაკი უკვე მეორე ნაკადს მასპინძლობს და, სამწუხაროდ, არცერთ საინფორმაციო საშუალებას არ გაუშუქებია, მხოლოდ ტელეკომპანია „მთავარმა არხმა“ გააკეთა რეპორტაჟი და იმასაც პოლიტიკური ელფერი შესძინა, რაც ამ საქველმოქმედო საქმეს არ შეეფერება“, - ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

ამირან გურიელიძე

# თუ შეიძლება, ქართულად მესაუბრეთ!

მე-4 გვერდიდან

**ნინო ბარათაშვილი:**

- ერთი კვირაა, რაც ბათუმში ჩამოვედი, დასვენების დღეებს ოჯახთან ერთად ვატარებ და ვხედავ, რომ აქაც თბილისის მსგავსი სიტუაციაა, იქაც გვიწევს კამათი, რუსულ სიმღერებს ნუ მღერით, რუსულენოვანი სარეკლამო აბრა ნუ გაქვთ გამოკრული, ქართველი მიმტანები რატომ არ გყავთ, ქართულად დაბეჭდილი მენიუ რატომ არ გაქვთ და ასე შემდეგ, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ ბათუმი პატარა ქალაქია, უფრო მკვეთრად ჩანს ეს ყველაფერი. დავდივარ ქუჩებში, სავაჭრო ცენტრებში და... ყველა მეორე რუსულად მოსაუბრეა. მართლა არ ვიცი, რა გზას უნდა მივმართოთ, ჩვენ - უბრალო მოქალაქეებს რა შეგვიძლია. ვფიქრობ, სახელმწიფომ უნდა მიიღოს ზომები, მაგალითად, სავიზო რეჟიმი დაუწესოს რუსებს, მოსთხოვონ მათ, რომ სივრცეებში, რომლის მფლობელებიც არიან, აუცილებლად აიყვანონ ქართულენოვანი ადამიანებიც. უნდა მოვთხოვოთ ქართული ენის პატივისცემა, მჯერა, გონს მოეგება ჩვენი ხელისუფლება და რაღაც გონივრულ ხერხს მიმართავს, ჩვენზე არ დატოვებს ამათთვის „ჭკუის სწავლებას“, როგორც ერთმა რუსმა მითხრა: ჭკუას ნუ მასწავლი, თავადაც ვიცი, ვინ ვინ არისო. არადა, ჩემი არაერთი კითხვის მიუხედავად, თუ სიმართლე იცოდა, ეღიარებინა, რომ რუსეთი ოკუპანტი და აგრესორია, მსგავსი რამ არ წამოსცდენია.

რესპონდენტების უმრავლესობამ, ერთი-ორის გამოკლებით, აღნიშნული სიტუაცია საფრთხის შემცველად დაასახელა. ისინი ზომების მიღებას სთხოვენ ხელისუფლებას. მათივე თქმით, უნდა დავგმოთ ყველა ის უსამართლობა, რასაც ჩვენს ქვეყანაში, ჩვენს ქალაქში ვაწყდებით, მით უფრო, არაფერი გვაქვს დასათმობი იმ ქვეყნის მოქალაქეებთან, რომელსაც ჩვენი ტერიტორიის 20 პროცენტი აქვს ოკუპირებული.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3.

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ᵃ
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 5/08/22, 21 25 სთ.

# ერთადერთი საბედისწერო შემთხვევა თუ...

ნანა აბულაძე 577 20 35 90

***თეატრი ათონელზე სპექტაკლით „შავი ფრინველი“ ბათუმს ეწვია. ბათუმის დრამატული თეატრის „ახალ სცენაზე“ ორი დღის განმავლობაში მაყურებელს შესაძლებლობა ჰქონდა, მთელი სიმძაფრით შეეგრძნო შოტლანდიელ დრამატურგ დევიდ ჰაროუერის პიესა, რომელიც რეჟისორმა გეგა გაგნიძემ დადგა***

სპექტაკლის სცენოგრაფიას, მუსიკას დაწყებისთანავე რაღაც ამოუცნობ ლაბირინთში შეჰყავხარ, თითქოს ჩაკეტილ და ტკივილით სავსე სივრცეში, სადაც მხოლოდ მაშინ აღწევს მზის შუქი, როცა სპექტაკლის პერსონაჟები სიყვარულზე საუბრობენ. სცენაზე მოქმედება ვითარდება ცალკე გამოყოფილ საოფისე ოთახში, რომელშიც პოლიეთილენის „ფარდაა“ ჩამოფარებული და მაყურებელში ერთგვარი დისტანციისა და ბუნდოვანების ილუზიას ქმნის. ყველაფერი კი ასე იწყება: სტომატოლოგიური კლინიკის მასალების საწარმოში შედის უნა (მსახიობი ნინო იაშვილი), რომელიც პოულობს რეის (მსახიობი თემიკო ჭიჭინაძე), ანუ კაცს, რომელსაც იმ წუთიდან ეძებს, რაც ერთად გატარებული რამდენიმე საათის შემდეგ სასტუმროდან გავიდა და აღარ დაბრუნებულა.

გახსოვარ? - ეკითხება უნა რეის, ის კი პასუხობს, რომ - არა. 12 წლის, არასრულწლოვან სხვა გოგოსთანაც გქონია სექსი? ისევ დაჟინებით უსვამს უნა კითხვას რეის, რომელსაც, რა თქმა უნდა, ყველაფერი არათუ აღარ ახსოვს, არამედ საშინელი წლები გამოიარა იმ დანაშაულის შეგრძნების გამო, რომ პატარა გოგოს ცხოვრება დაუნგრია. თუმცა... მოძალადედ არ მიიჩნევს საკუთარ თავს და პიესის განმავლობაში, უნასთან დიალოგისას, თითქოს თავის მართლების მიზნით იმეორებს: „არა, მე ასეთი არ ვარ, მე ეს ძალით არ გამიკეთებია, შენ მიწვევდი, ეს ორივეს გვინდოდა“. სპექტაკლში უნასა და რეის დიალოგები, წარსულის გახსენება, ერმანეთთან და უერთმანეთოდ გატარებულ წლებზე საუბარი ცხადყოფს, რომ მათ დღემდე აკავშირებთ რაღაც უხილავი ვნება, ამოუხსნელი ემოცია, რომელიც არცერთ მათგანს არ აძლევდა ერთმანეთის დავიწყების შესაძლებლობას.

სპექტაკლიდან ირკვევა, რომ სწორედ არასრულწლოვანთან ურთიერთობის გამო, ჩადენილი დანაშაულის გააზრების გამო რეი იმ დღეს ჩაბარდა პოლიციას, როცა სასტუმროდან გავიდა და როგორც უნა ამბობს, მიატოვა. ციხეში რამდენიმეწლიანი ჯდომისა და ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის შემდეგ, რეი ახალი ცხოვრების დაწყებას ეცადა, წარსულის დასავიწყებლად სახელი და გვარი გამოიცვალა, სხვა ქალაქში გადავიდა საცხოვრებლად, საყვარელი ქალი გაიჩინა და როცა ეგონა, წარსულის ტკივილს გაუმკლავდა, დანაშაულის მტკივნეული განცდა გადალახა, სწორედ მაშინ მივიდა მასთან ძალიან ლამაზი და უკვე ზრდასრული უნა, რომელმაც წამში ამოაპირქვავა ყველაფერი.

ორივეში იღვიძებს ვნება, თითქოს წამიერად იმ დროსა და სივრცეში ბრუნდებიან, როცა ერთმანეთით აღტაცებულები იყვნენ, ღიმილით იგონებენ ერთად გატარებულ წუთებს, თუმცა, ყველაფერი მაშინ სრულდება, როცა მოულოდნელად სცენაზე თეთრ სინათლეს მწვანე ფერის შუქი ცვლის, რაც ბუნდოვანების ილუზიას უფრო მეტად ამძაფრებს და ოთახში რეის შვილობილი, პატარა გოგონა (მარიამ ძნელაძე) შედის. რეი გაოგნებულ უნას უყურებს და ხმამაღლა უყვირის, რომ ეს გოგო მისი შვილობილია და რომ ის, რაც გაიფიქრა, არასწორია, კვლავ იმეორებს, რომ ის არ არის ბავშვებზე მონადირე, მოძალადე კაცი.

მუხედავად იმისა, რომ გაუმართლებელი საქციელი ჩაიდინა რეიმ, თემა ძალიან მტკივნეულია. იმდენად სწორად შეძლეს მსახიობებმა ამ ყველაფრის მაყურებელთან მიტანა, საოცარი მინიმალიზმით პერსონაჟების მიერ განცდილი ყველა ემოციის გადმოცემა, ერთგვარ „ბეწვის ხიდზე“ გავლა, რომ სპექტაკლის დასასრულს, ალბათ, არცერთ მაყურებელს არ გასჩენია რეისადმი ზიზღი, თუმცა ბოლო სცენამ ერთგვარ საგონებელში ჩააგდო მაყურებელი: ვინც თითქოს აპატია ადამიანს, რომელიც გულწრფელად ნანობს ჩადენილ დანაშაულს, გაუჩნდა კითხვა, მართლა პედოფილი ხომ არ არის რეი, ის პატარა გოგო მისი ფანტაზიების მორიგი მსხვერპლია თუ მართლა შვილივით უყურებს საყვარელი ქალის შვილს?..

აღსანიშნავია მსახიობების თემიკო ჭიჭინაძისა და ნინო იაშვილის საოცარი შესრულება თავისი ზომიერებითა და თანმიმდევრობით. მათგან წამოსული ემოციები ქარბორბალასავით მოედო დარბაზს და ყველას გულს მისწვდა. ორი ადამიანის ერთმანეთში არეულმა ემოციებმა, რომლებიც სიყვარულს, ზიზღს, ვნებას, შიშს ერთად გამოხატავდა, მაყურებელი კლანჭებში მოიქცია და, როგორც „შავმა ფრინველმა“, უსასრულობასა და ბუნდოვანებაში გადაკარგა.

გვესაუბრება რუსთაველის თეატრის მსახიობი და სპექტაკლ „შავი ფრინველის“ ერთ-ერთი მთავარი გმირი თემიკო ჭიჭინაძე.

- პრობლემა, რომელზეც სპექტაკლში ვსაუბრობთ, ძალიან სენსიტიურია, თუმცა ყველა დროში არსებობს და აუცილებლად უნდა ვილაპარაკოთ ამაზე. მიმაჩნია, რომ არცერთი თემა, რასაც უნდა ეხებოდეს ის, არ უნდა მიიჩქმალოს. ჩემი და რეჟისორის სურვილი დაემთხვა იმაში, რომ სპექტაკლში არსებული თემა არ გადასულიყო გამაღიზიანებელ ფორმაში, ამიტომ, სიყვარულის ისტორია წამოვწიეთ წინ, თუმცა, მოგეხსენებათ, ეს არ არის სრულყოფილი სიყვარული. ჩემი პერსონაჟი თითქოს ნანობს ჩადენილ დანაშაულს, ამავდროულად, თავს იმართლებს, ქალს ადანაშაულებს და ეუბნება, რომ მან გამოიწვია, მან აუშალა ვნებები, თუმცა იქვე საკუთარ შეცდომაზე იწყებს საუბარს, იმაზე, რომ ცუდად მოიქცა და ცხოვრება დაუნგრია. ადამიანებს გვახასიათებს გადაბრალება, რაც ყველაზე მარტივი გამოსავალია საკუთარი სისუსტის გადასაფარად. მრავალფეროვანი და საინტერესო იმიტომ არის ჩემი პერსონაჟი, რომ ის მუდმივ ჭიდილშია საკუთარ თავთან, აღიარებს შეცდომებს და ცდილობს წარსულის მარწუხებისგან გათავისუფლებას. სახელი და გვარიც კი შეიცვალა, სხვა ქალაქში გადავიდა, თითქოს წარსულთან დისტანციის ილუზია შექმნა საკუთარ თავში, მაგრამ სპექტაკლიდან ირკვევა, რომ მიუხედავად მცდელობებისა, მაინც ვერ გაექცა საკუთარ თავს. სპექტაკლის ფინალიც ამოუცნობია, საფიქრალს უტოვებს მაყურებელს, შესაძლებლობას აძლევს, თავად გამოუტანოს განაჩენი ჩემს პერსონაჟს, კიდევ ერთხელ დაფიქრდეს, შეიტანოს თუ არა ეჭვი რეის გულწრფელობაში, როცა ის ამბობს, რომ მხოლოდ ერთადერთხელ დაუშვა საბედისწერო შეცდომა და ის პედოფილი არ არის... მინდა, მადლობა გადავუხადო ჩემს არაჩვეულებრივ, უნიჭიერეს და უმშვენიერეს პარტნიორს სცენაზე ნინო იაშვილს, ასევე ბათუმელ მაყურებელს. მიმაჩნია, რომ ბათუმი არის ქართული თეატრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერა. ეს ყოველთვის ასე იყო, არის და, იმედი მაქვს, რომ მომავალშიც იქნება. აღსანიშნავია, რომ ბათუმში არაერთი დიდი თეატრალური მოღვაწე მსახურობდა, თეატრალური დონე ყველა პერიოდში მაღალი იყო ამ ქალაქში. აქ ბევრი მეგობარი მყავს - მსახიობები, ვისთან ერთადაც მიმუშავია თეატრსა და კინოში. ბათუმი ერთ-ერთი ყველაზე დიდი თეატრალური ტრადიციების ქალაქია და ყოველთვის ძალიან მიხარია აქ თამაში. ბათუმის თეატრის თითოეული წარმატება ჩემი წარმატებაა.

# მუსიკა ყველაზე კეთილშობილური ენაა

## ზვიად ბოლქვაძე და ზაზა სიხარულიძე მონოდრამის პრემიერაზე გვიწვევენ

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

***ჩვენი თანაქალაქელი ზვიად ბოლქვაძე თავისი ნაყოფიერი შემოქმედებით გულგრილს არავის ტოვებს. იგი მუდამ ცდილობს, სიახლეებით წარსდგეს მსმენლის წინაშე და ყოველ ჯერზე ისეთ საინტერესო მასალას გვთავაზობს, რომ გვაოცებს***

„THE PASSION OF MEDEA“ („მედეას ვნებანი“) - ასე ეწოდება იმ მუსიკალურ მონოდრამას, რომლის მუსიკა კომპოზიტორმა ზვიად ბოლქვაძემ ოთარ ჭილაძის ნაწარმოების მიხედვით დაწერა. სწორედ ამ დისკის პრეზენტაცია გაიმართა ბათუმის ხელოვნების ცენტრში, რომელსაც კომპოზიტორი დაესწრო. დისკი შეკრებილთ ცენტრის მთავარმა ადმინისტრატორმა ჯაბა სალუქვაძემ წარუდგინა, თავად სპექტაკლს კი ბათუმელი მაყურებელი ხელოვნების ცენტრში 26 აგვისტოს იხილავს. დისკის გამოცემა და სპექტაკლი ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურმა ცენტრმა დააფინანსა, მონოდრამის რეჟისორია ზაზა სიხარულიძე და დადგმის იდეაც მას ეკუთვნის.

ზვიად ბოლქვაძემ ისაუბრა ამ სიახლით სავსე სპექტაკლზე, აღნიშნა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია, როცა კომპოზიტორს შესაძლებლობა ეძლევა, შექმნას რაღაც ახალი და მით უმეტეს, დიდი ფორმის ნაწარმოები.

- ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მუსიკა დაიწერა კონკრეტულად სცენარის მიხედვით და არა ის, რომ სხვაგან ავიღეთ მუსიკა და სპექტაკლისთვის გამოვიყენეთ, რაც ხშირად ხდება, - თქვა ზვიად ბოლქვაძემ მედიისათვის გამართულ პრესკონფერენციაზე, - ვფიქრობდით, როგორი ყღერადობა მოუხდებოდა მას. საბოლოოდ ჩამოვყალიბდით იმ აზრზე, რომ გამოგვეყენებინა ერთი ინსტრუმენტი და ნაწარმოებში სწორედ ის სჭარბობს. ეს არის - ორგანი. ამის საშუალება მქონდა იმიტომ, რომ ჩემი მეუღლე გახლავთ ორგანისტი. ასეთი ინსტრუმენტი ჯერჯერობით, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის გარდა, სხვაგან არსად მოიპოვება და ცოცხალი შესრულება მხოლოდ კონსერვატორიის დიდ დარბაზშია შესაძლებელი. ამიტომ იყო აუცილებელი, გვქონოდა ხარისხიანი დისკი. ნაწარმოებში წინა პლანზე წამოვიდა დუდუკი, სხვა კუთხით ჟღერს მასში არფაც და გუნდი, რომელსაც ერთგვარი როლი აქვს ამ სპექტაკლში. ზაზა სიხარულიძის დამსახურებაა, რომ ეს მუსიკა დაიწერა. ყოველდღე გვქონდა კომუნიკაცია, სატელეფონო საუბარი. ის ამ პროცესში, მუსიკის დაწერას ვგულისხმობ, მთლიანად იყო ჩართული. ჩემთვის დიდი პატივია, რომ ამ ადამიანთან მიწევს გარკვეული თანამშრომლობა. ეს სპექტაკლი ძალიან დიდი მონაპოვარია, ყველას მადლიერი ვარ, ვინც ხელი შეუწყო მის შექმნას. გულწრფელი მადლობა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრს და მის დირექტორ გიორგი მიქელაძეს, ცენტრის მთავარ ადმინისტრატორ ჯაბა სალუქვაძეს, ყველას, ვინც დღეს აქ შეიკრიბა. რაც შეეხება მონაწილეებს, ფრაგმენტი ვნახე და ჩემთვის ამაღელვებელი იყო ბევრი რამ, თუნდაც განათება. არაჩვეულებრივია მსახიობი თათია თათარაშვილი. დისკი ჩაწერა დავით ხოსიტაშვილმა - ძალიან რთულია ასეთი სინთეზური ჩანაწერის გაკეთება, მისი დაწმენდა. დისკი სტუდიამ „თბილისი“ უზადოდ და ხარისხიანად გამოსცა. ყველა მუსიკოსს მინდა მადლობა ვუთხრა. მუსიკა - ეს არის ყველაზე კეთილშობილური ენა, რომელსაც შეუძლია გველი ხვრელიდან ამოიყვანოს, ადამიანები გაადარჩინოს. მას ძალიან დიდი ძალა აქვს. მე ღმერთის ხმას ვუწოდებ მუსიკას. კიდევ ერთი დეტალი მინდა დავამატო. მასში ძალიან საინტერესოდ არის ქალის ბუნება გახსნილი, რომელიც ბევრ რამეს იტევს. მუსიკაც გამიზნული იყო იმისკენ, რომ მაქსიმალურად გამეხსნა ყოველი სიუჟეტი. ასეთი დიდი ფორმის მუსიკა არ იწერება ადვილად. ამისთვის ძალიან დიდი მიზეზი, საშუალება, ხელშეწყობაა საჭირო. თუმცა, როცა ხელი ეწყობა ისეთ საქმეს, რომელიც თაობებს დარჩება, ამაზე უკეთესს ამქვეყნად ვერაფერს დავტოვებთ. დანარჩენს საზოგადოება შეაფასებს. კრიტიკაც საჭიროა, მთავარია, ვიმოძრაოთ, წინ წავიდეთ, დავუშვათ შეცდომებიც, ოღონდ არ გავჩერდეთ. მადლობა მხატვარ ბესო ბესელიას, ტექნიკურ რეჟისორს ზვიად მურვანიძეს, მხატვრულ გამნათებლებს - კახა გიგინეიშვილსა და ირაკლი კრასნოპოლსკის, გამხმოვანებელ ვერა ქებულაძეს... ბათუმში სპექტაკლი ჩანაწერით წავა, ცოცხლად ამას ვერ შევასრულებ, თუნდაც იმიტომ, რომ აქ ორგანი არ არის. მონოდრამის ხანგრძლივობა 50 წუთია და მთელი ამ ხნის განმავლობაში დიალოგს მუსიკა მიჰყვება, ანუ მუსიკაც მთავარ როლშია. რახან ერთი ადამიანი თამაშობს, მას აქვს გარკვეული ურთიერთობები სხვადასხვა პერსონაჟთან და ამ პერსონაჟების როლს მუსიკა თამაშობს. ყველა ველოდებით პრემიერას, ვნახოთ, რა გამოვა...

მაშ, ასე, ბათუმი დიდი პრემიერის მოლოდინშია - 27 აგვისტოს მონოდრამის „THE PASSION OF MEDEA“ შემქმნელები საუკუნეების წინანდელ კოლხეთის უკვდავ წარსულს ახლებურად წარმოგვიდგენენ.

წარმატება ვუსურვოთ მათ!